# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№127 (9958) 2025 წლის 17 სექტემბერი, ოთხშაბათი





## ლევანიკო, პატიკო, ანიკო და სხვა ...კოები

იხ. 3 გვ.

## რევოლუციობანას თამაშობენ



## აღმოსავლეთი იწვის!

რეჯეფ თაიფ ერდოღანი:

### ნეთანიაჰუ იდეოლოგიურად დაკავშირებულია ჰიტლერთან, მას საბოლოოდ იგივე ბედი ელოდება!

თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანი აცხადებს, რომ ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ იდეოლოგიურად დაკავშირებულია ჰიტლერთან და მას იგივე ბედი ელოდება. ერდოღანის განცხადებას თურქული გამოცემა „ანადოლუ“ ავრცელებს.

„ისინი, ვინც ისრაელს მართავენ, წარმოადგენენ მკვლელების ქსელს, რომლებმაც საკუთარი რადიკალური შეხედულებები ფაშისტურ იდეოლოგიად აქციეს. ნეთანიაჰუ, ფაქტობრივად, იდეოლოგიურად დაკავშირებულია ჰიტლერთან. როგორც ჰიტლერმა წინასწარ ვერ განჭვრიტა მარცხი, ნეთანიაჰუსაც საბოლოოდ იგივე ბედი ელოდება“, – განაცხადა თურქეთის ლიდერმა.

ერდოღანის თქმით, დასავლური ქვეყნების მიერ პალესტინის სახელმწიფოს აღიარება გაზრდის ისრაელზე ზეწოლას. როგორც თურქეთის პრეზიდენტმა აღნიშნა, თურქეთი კიდევ ერთხელ დააყენებს ამ საკითხს გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე. რეჯეფ თაიფ ერდოღანის განმარტებით, იმედს გამოთქვამს, რომ ამ ღონისძიებაზე ღაზის მოსახლეობის დასახმარებლად ჰუმანიტარული ფრონტი გაფართოვდება.

## პატარა ქვეყნის დიდი წინააღმდეგობა

## კიდევ ერთი ქაოსის სცენარი ჩაიშალა!




4

### საქართველო არ დაუშვებს უკან დაბრუნებას!



### ბიძინა ივანიშვილის ადვოკატის თემურ წიქვაძის საგანგებო განცხადება

The Guardian





## აბსურდის მსახური ამერიკელი ჟურნალისტები

იხ. 7 გვ.

### აკადემიკოსი ნოდარ ჩხარტიშვილი

ღვაწლმოსილი მეცნიერი, ქართული ვაზის დიდი მსახური და მოამაგე



5



6

### აკადემიკოსი ლაშა დოლიძე

გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის დიდი სპეციალისტი


ვებ-გვერდი: WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE

საქართველოს რესპუბლიკა

დღეს – ხვალისთვის

№127. ოთხშაბათი, 17 სექტემბერი, 2025 წელი



# ქუთაისს უნიკალური ტექნოლოგიური ჰაბი ექნება

**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ქუთაისის ტექნოლოგიური ჰაბის მოწყობის სამუშაოები დაათვალიერა.**

ტექნოლოგიური ჰაბი პარლამენტის ყოფილ შენობაში განთავსდება. პროექტის შესახებ ინფორმაცია პრემიერ-მინისტრს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა **მარიამ ქვრივიშვილმა** გააცნო.

ამ დროისთვის დასრულებულია გარე ტერიტორიის ინფრასტრუქტურის, მათ შორის, ტექნოპარკის შესასვლელის მხრიდან საავტომობილო გზის, სკვერის, მწვანე საფარის და გარე განათების, მწვანე ღობის მოწყობის სამუშაოები.

მიმდინარეობს სარწყავი სისტემის მოწყობა, დაგეგმილია ტერიტორიის გამწვანება.

პროექტის ფარგლებში მოეწყობა სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია, 3D პრინტერების ლაბორატორია, ელექტრონიკის, რობოტიკის, დრონების და სხვა ექსპერიმენტული ლაბორატორიები სტუდენტებისა და სტარტაპებისთვის.

ტექნოლოგიური ჰაბისთვის შესყიდულია საქართველოში პირველი მეტალის 3D პრინტერი, რომლის მეშვეობითაც სტარტაპებს, ინჟინრებსა და სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ, მეტალისგან შექმნან რთული, მაღალი სიზუსტით დამზადებული კომპონენტები.

# ახალი მრავალფუნქციური პარკი 70 ჰექტარზე

**ქუთაისში, პარლამენტის ყოფილი შენობის მიმდებარედ თანამედროვე მრავალფუნქციური პარკი მოეწყობა.**

პარკის მშენებლობის ადგილზე გუშინ საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე** იმყოფებოდა. დაგეგმილი სამუშაოების შესახებ ინფორმაცია პრემიერს ინფრასტრუქტურის მინისტრმა **რევაზ სოხაძემ** გააცნო.



პარკის პროექტირების კონკურსი ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა უკვე გამოაცხადა.

პარკი დაახლოებით 70 ჰექტარ ტერიტორიაზე მოეწყობა და გააერთიანებს საბავშვო სათამაშო ზონებს, სპორტულ მოედნებს და სავარჯიშო სივრცეებს, საფეხმავლო და ველობილიკების ქსელს, კულტურულ და საგანმანათლებლო სივრცეებს, ღია სცენას, პავილიონებს და ღონისძიებების მოედნებს. პარკში ასევე განთავსდება საინფორმაციო ცენტრი, პერგოლები, ჭადრაკის მაგიდები, დეკორატიული ტბები და შადრევნები.

პროექტის ფარგლებში ასევე გათვალისწინებულია გარე განათებისა და სარწყავი სისტემის, ასევე უსაფრთხოებისა და ვიდეომეთვალყურეობის ინფრასტრუქტურის მოწყობა.

# პრემიერ-მინისტრმა ქუთაისში 720 დევნილ ოჯახს ბინები გადასცა

**დევნილ ოჯახებს ახალი ღირსეული საცხოვრებლით უზრუნველყოფა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ მიულოცა და აღნიშნა, რომ ეს ნაბიჯი დევნილებისადმი საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულებას ასახავს.**

მთავრობის მეთაურმა დევნილთა განსახლების მიმართულებით მიმდინარე უპრეცედენტო მასშტაბის პროექტებზე ისაუბრა. პრემიერმა დევნილთა მხარდასაჭერად განსაზღვრული ბიუჯეტის ზრდაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით გამოყოფილი თანხები 25 მილიონიდან 240 მილიონ ლარამდე გაიზარდა, ხოლო 2012 წლის შემდეგ ახალი საცხოვრებელი დაახლოებით 39 000-მა დევნილმა ოჯახმა მიიღო, რაც ხელისუფლების დამოკიდებულების ცვლილებაზე მეტყველებს. დევნილთა მხარდასაჭერად საქართველოს მთავრობის თანადგომით განხორციელებულ და დაგეგმილ პროექტებზე ისაუბრა ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა მიხეილ სარჯველაძემ. პრემიერ-მინისტრმა სიმბოლურად, არქანიების ოჯახს ბინის გასაღები გადასცა. ღონისძიებას საქართველოს აღმასრულებელი, საკანონმდებლო და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე და მთავრობის წევრები დაესწრნენ.



# თბილისში ჯანდაცვისა და სოციალური პოლიტიკის პროექტები გაუმჯობესდება

**პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თბილისის მეროზის კანდიდატმა, დედაქალაქის მოქმედმა მერმა კახა კალაძემ საზოგადოებას გუშინ ჯანდაცვისა და სოციალური პოლიტიკის მიმართულებით მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში განსახორციელებელი პროექტები წარუდგინა.**

პრეზენტაციას პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე** და პარლამენტის თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილი** ესწრებოდნენ.

როგორც კახა კალაძემ სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, ჯანდაცვისა და სოციალური პოლიტიკა იყო, არის და მომავალშიც იქნება თბილისის მერიის მთავარი პრიორიტეტი.



**„როგორც დედაქალაქის მოქმედი მერი და თბილისის მერობის კანდიდატი, განვაგრძობ მოსახლეობისთვის იმ ძირითადი მიმართულებების წარდგენას, რომელსაც მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, მუნიციპალიტეტი კვლავაც ყველაზე მეტ დროსა და ენერგიას დაუთმობს. დღეს მინდა, წარმოგიდგინოთ მიმართულება, რაზეც ვფიქრობ, ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა გვაკისრია, რადგან საქმე ეხება ადამიანების ჯანმრთელობას, ხშირ შემთხვევაში, მათ სიცოცხლეს, მოქალაქეთა სოციალურ საჭიროებებს, ადამიანთა მომავალს. ჯანდაცვისა და სოციალური პოლიტიკა იყო, არის და მომავალშიც იქნება ჩვენი მთავარი პრიორიტეტი. თქვენ იცით, რომ ყოველწლიურად იზრდება შესაბამისი პროგრამები, სერვისები, იზრდება თბილისის ბიუჯეტი ამ მიმართულებით. კიდევ ერთხელ მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და პრემიერ-მინისტრს მხარდაჭერისთვის მადლობა გადავუხადო“,** – განაცხადა **კახა კალაძემ.**

მისივე თქმით, მიმდინარე წელს ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების მიმართულებით გამოყოფილია, დაახლოებით, 106 მლნ ლარი, რომლითაც ამჟამად 31 პროგრამა ხორციელდება.

**„ვფიქრობ, ჩვენმა გუნდმა ყველას თვალნათლივ დაანახა, რომ არავის ვტოვებთ გასაჭირში პრობლემების პირისპირ, რომ ვართ ჩვენი მოქალაქეების გვერდით. ეს სწორედ ის მიმართულებაა, სადაც შეუძლებელია, ვინმეს მიმართ გულგრილობა გამოხატო ან ვინმე პოლიტიკური ნიშნით შეაფასო. ჩვენ ვზრუნავთ ჩვენს თანამოქალაქეებზე, განურჩევლად მათი შეხედულებებისა. ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამებით გათვალისწინებული ბენეფიტებით ყოველწლიურად 300 000 ადამიანი სარგებლობს, ფინანსდება ნახევარ მილიონზე მეტი შემთხვევა.**

**მიმდინარე წელს ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების მიმართულებით გამოყოფილია, დაახლოებით, 106 მლნ ლარი, რომლითაც ამჟამად 31 პროგრამა ხორციელდება. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და ჩემს მოადგილე ანდრია ბასილაიას, საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელს, გელა ჩივიაშვილს, ასევე, მის თითოეულ თანამშრომელს განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო იმ საქმიანობისთვის და გულისხმიერებისთვის, რომელსაც ჩვენი მოქალაქეების დასახმარებლად ყოველდღიურად იჩენენ“,** – აღნიშნა **კახა კალაძემ.**

დედაქალაქის მერმა განაცხადა, რომ მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, სოციალური და ჯანდაცვის მიმართულებით, სამი ახალი პროგრამა ამოქმედდება. დაგეგმილი პროექტების პრეზენტაციას მინისტრთა კაბინეტის წევრები, თბილისის მერიის, საკრებულოსა და პარლამენტის წარმომადგენლები, ასევე, დარგის სპეციალისტები ესწრებოდნენ.



# ლევანიკო, პატიკო, ანიკო და სხვა ...კოები რევოლუციობანას თამაშობენ




**... ქალაქი გაიტენა დროშების უთავბოლო, ზერე-ქვერე ფრიალით, წივვინდრიანცელით, წყევლა-გინებით. ტელევიზიაა და, ზოგიერთი არხი, ჩართავ თუ არა, უმალ შემოგაფურთხებს სიცრუესა და უწმინდურობას. რევოლუცია „გამარჯვებას" ზეიმობს მელიქიშვილიდან თავისუფლების მოედნამდე...**

**გმირი ქალები როგორ არ გვყოლია. გვყავდნენ და თანაც როგორნი? ტოლს რომ ვერავინ უდებდა, ისეთნი: მაია წყნეთელი, თინა წავკისელი, თამარ ვაშლოვანელი... უბედობა ის იყო, რომ ეს მტრის მზაფრავი დიაცები სხვადასხვა ეპოქაში ცხოვრობდნენ და ისტორიას კვალი ისე მძლავრად ვერ დაამჩნიეს. აბა, წარმოიდგინეთ ისინი ერთად, მხარდამხარ, ვთქვათ, ივანიშვილის ურდოების პირისპირ!..**

ღმერთმა წყალობა მოიღო და დღეისათვის იმდენი ვაჟკაცი ქალი გვიბოძა, თავბრუდახვეულებმა არ ვიცით, რა გზას ვეწიოთ!..

შეხეთ, საცქერ-სასმენად უებრონი:

– **სოფო ჯაფარიძე,** მტერს რომ მარჯვენა ხელის შუა თითს უჩვენებს;

– გაავებისაგან სახეწაშლილი, მედგარი **ანა წითლიძე,** საცემრად რომ იწევს სუსის თავკაც მამუკა მდინარაძეზე;

– ცეცხლისმფრქვეველი ყელ-კისერა **თინა ბოკუჩავა;**

– მხარბეჭიანი **ელენე ხოშტარია** სახეზე შეყინული მტრისა და მოყვრის ფეხებზე მკიდიაობით;

– ქადაგად დავარდნილი ცოცხალი საკვირველება **თამარ ჩერგოლეიშვილი;**

– ყველა ოცნებელის მოძულისა და მაწყევრის მამიდა **სალომე სამადაშვილი;**

– ჟურნალისტობას ამოფარებული მოცვეთი **ინგა გრიგოლია,** შეურიგებელი, მტრული ოპოზიციის ენაშუბოსანი მეომარი...

**ნანუკა ჟორჟოლიანი, ბაია პატარაია, ეკა გიგაური, ნინო ლომჯარია** და კიდევ რამდენი ქალბატონი და ქალწული ეტანება საქართველოს თავისი წილის გამოსაკორტნად! მათს ამ ირაოს ძალას მატებს წყევლით, გინებით, ბილწსიტყვაობით აღჭურვილი ამორძალების ლაშქარი. მარტო „სინდისის პატიმრის" თორნიკე გოშაძის დედის ქალბატონი მარიზის საზარელი, არაადამიანური წყევლა რად ღირს უწლოვანი ივანიშვილებისა...

წარმოიდგინეთ ეს სისხლმოწყურებული „რევოლუციონერი" ქალები და მათ გვერდით მბჟუტავი კაცები. ისინი ემზადებიან, ბუმბულს ისწორებენ...

**როგორც ირკვევა, 4 ოქტომბრის რევოლუციას ორი გზა აქვს. ერთი ხაბეიშვილისეულია, რომელსაც მამამძუძე ლევანა მშვიდობიან დამხობას უწოდებს (უთუოდ იმის გამო, რომ არ იცის „მშვიდობიანი დამხობის" არარსებობა). თუ მშვიდობიანია გადატრიალება, დამხობა ვერ იქნება, თუ დამხობაა, არამც და არამც „მშვიდობიანი" არ იქნება, უბრალოდ, დამხობა, დაქცევა, ქვეყნის აწიოკება იქნება. ზის ახლა ლევან (ანიტა) ხაბეიშვილი სუსის იზოლატორში და თავის შლეგურ მოსაზრებებში დაანონსებულ 4 ოქტომბრის „მშვიდობიან რევოლუციას" უფრო გარანტირებულ გაგრძელებას უძებნის.**

მეორე გზა პაატა ბურჭულაძისეულია (თვითონ აცხადებს, მეორე კი არა, პირველია, მე მოვიფიქრე 4 ოქტომბერს სახალხო შეკრება და ხელისუფლების გაძევებაო). „ბურჭულაძის გზა" არსებითად გაურკვეველი რამ არის.







განს რომ ჰკითხოთ, მას ასე წარმოუდგენია: რუსთაველზე შეიკრიბება რამდენიმე ასეული ათასი ადამიანი (?!) და დაადგენენ, რომ ხელისუფლება უნდა გადადგეს, ჩაავლებენ პაატას რქებში ხელს და მთავრობის მთავარ სავარძელში ჩააბრძანებენ. პაატა იმღერებს ნაბუქოდონოსორის არიას და ქვეყანა მეორე დღიდან, ანუ 5 ოქტომბრიდანვე ახალი სუნთქვით დაიწყებს სუნთქვას, ქუჩებში კი მისი სურათები გამოიფინება და ჰაერი მის მიერ შესრულებული არიებით გაჯერდება. რაც მთავარია, მას დაჭერის არ ეშინია, ქვეშეცნეულად გრძნობს, რომ მისი დაჭერა არავის არაფერში სჭირდება, მისი მწყაზარი სახე ჯვარიან ვირეშმაკობას ფარავს. თავის ქალის ორივე ნახევარსფერო წარმოსახვითი დოლარის დასტებით აქვს გამოტენილი, რევოლუციისთვის ერთი ფიორა ადგილიც კი არ რჩება.

*ამრიგად, 4 ოქტომბერს 4 საათზე ხაბეიშვილის პირმშო რევოლუცია დაგვატყდება თავს. მანამდე კი ყოფილი პროკურორი, ყოფილი ნორმალური კაცი, ამჟამად კი გაურკვეველი პარტიული მრწამსის უჟმური გედევან ფოფხაძე აგულიანებს პროტესტანტებს, მეო, გავიხარებ, თუ ბიძინა ივანიშვილს და მთელ მის მოდგმას და მიმდევრებს ბენზინს გადაასხამთ და დაწვავთო. ეს დაფარული კაციჭამიური ხვაშიადი მან ტელეინტერვიუში გაგვანდო, როცა რევოლუციის სიკეთითა და ოცნებელთა სასტიკი დამხობის იმედით გული გაგვითბო. თუ ასეთი ხვითო იყავი, აქამდე რატომ გვიმალავდი, პატივცემულო გედევან?*

მაშ ასე, წინ რევოლუციაა–საყოველთაო, რამდენიმე ასეული ათასი განრისხებული გენდერის (არც კაცის, არც ქალის) მონაწილეობით, როგორც მათ მოსწრებულად უწოდა ერთ-ერთმა ფბ მომხმარებელმა. რა ხანია ომახიანად, იმედიანად, გასახარად სჭექს რევოლუციის ჰიმნი: **„ოლეე, ოლაა! ქოცების დედის ტყ.ნა! მწოველებო, ნაბოზრებო, თქვენი დედის ტყ.ნის დროა!"** ტექსტით, მელოდიითა და მიზანდასახულობით ისედაც ლამაზ ამ სიმღერას კიდევ უფრო ალამაზებს, მეტ შთამაგონებლობას მატებს ის, რომ თანამებრძოლ გენდერ მამაკაცებთან ერთად, მას გატაცებით, ყელმოღერებით, საგანგებო დაგემოვნებით მღერიან აქციების მონაწილეთა მეორე ნახევრები–16-18 წლის კისკისა გოგონები და 60-70 წლის ავად მოქუფრული ქალბატონები.

* * *

**ახლა საგანგებოდ ერთ საკითხზე უნდა შევჩერდეთ.**

**SIC!** დაბეჯითებით გაირკვა: საქართველო პატარა ქვეყანა კია, მაგრამ მთელი მსოფლიოს საფიქრალია. აი, ამას წინათ (10 სექტემბერს) ვაშინგტონში ჰელსინკის კომისიის სხდომაზე კვლავ გაიმართა საქართველოს საკითხზე მოსმენა სახელწოდებით – „პარტნიორობიდან პრობლემამდე: საქართველოს ანტიამერიკული გადახვევა", სადაც მომხსენებლები (ბრალდების მთავარი მოწმეები) იყვნენ საქართველოს მეხუთე პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი** და საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი **თინა ხიდაშელი,** რომლებსაც ზურგს უმაგრებდა ასევე ყოფილი აშშ ელჩი საქართველოში **კელი დეგნანი.**

**თავისმომჭრელი სანახაობა იყო: ეს ორი ყოფილი ადამიანი რა ურცხვად ასმენდა საქართველოს ხელისუფლებას, ფაქტობრივად, თვით საქართველოს, ევროატლანტიკური კურსის, გამორჩეულად კი ამერიკის ღალატში, რომელმაც, სალომეს სიტყვით, ბოლო 30 წლის მანძილზე 6 მილიარდ დოლარზე მეტი გაიღო არა საჩუქრის, არამედ ვალდებულების სახით საქართველოს თავისუფლების, უსაფრთხოებისა და ევროპული მომავლისათვის. ამ სიკეთეთა ჩამონათვალში ნახსენებია სკოლების გახსნა, მასწავლებლებისა და მოხელეების გაწვრთნაც(!).**

მაგრამ საქართველომ თურმე ვერ შეიშნოვა სიკეთე – „ქართული ოცნების" საჯარო პოზიციები სულ უფრო აგრესიულ ტონს იძენს: ღია შეტევები აშშ-ს წარმომადგენლებზე, ამერიკის პოლიტიკაზე, მტრული თავდასხმები პირადად პრეზიდენტ ტრამპზე და მის ადმინისტრაციაზე, აშშ-ს მიმართ ბრალდებები ე. წ. მეორე ფრონტის გახსნის მოთხოვნებზე. და მთავარი: თურმე **„ქართული ოცნების"** საგარეო და საშინაო პოლიტიკა პირდაპირ ეწინააღმდეგება ამერიკის ეროვნულ ინტერესებს!

დაბოლოს. **მთელი ამ უსაფუძვლო, ყურით მოთრეული დაბეზღების მთავარი მიზანი: რეალური შედეგები უნდა დადგესო მათთვის, ვინც ხელისუფლებაშია! ანუ, მოითხოვს საქართველოს ხელისუფლების დასჯას გახურებული შანთებით.** ძველი დრო რომ იყოს, პირდაპირ სამხედრო ოკუპაციას შეუკვეთავდა. თუმცა, მისი გულფანცქალა მოლოდინი მგონი ნაკლებს არც იმედოვნებს.

მის გვერდით კუდაწევით მჯდომი, ნასროლი კვერცხივით სახეზე ღიმილშემხმარი უმცროსი ყოფილი კვერს უკრავდა მთავარ ყოფილს და თავისი იქ ყოფნით, თავისი საზიზღარი მისიით ზიზღს იწვევდა ორივე ქვეყნის საზოგადოებაში. რაც მთავარია, ხიდაშელი ალი-კვალი აღმოჩნდა თავისი წინამძღოლის და მოძღვრისა. მისი გამოსვლაც ისეთივე მოღალატური და სულმდაბლური იყო. ოღონდ, ერთი კია, ვაშინგტონში მისმა გმირულმა ჯაშუშურმა გამოსვლამ პირდაპირ გამაცოცხლებელი წვეთები აპკურა თბილისში მყოფ მეუღლეს, ისევ ყოფილ პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილს, რომელიც რამდენიმე თვე მაჩვივით მდუმარედ იხარშებოდა საკუთარ ბოღმაში. ქმარმა, იხილა რა ცოლის ვაშინგტონური ვოიაჟი, ტელევიზიას ეცა და თვალებანთებულმა თავისი პოზიცია ცოლისას შეუპირისპირა.

ჰოდა, რა გინდა ქნა ამდენ სისხლმოწყურებულ მტერს შორის. მაგრამ ხელისუფლება მაინც აკეთებს თავის საკეთებელს, სამალავებიდან ამოაქვს ფუთობით სხვადასხვა ჯურის ნარკოტიკი, ის კი არა, 2,4 კილოგრამი კონტრაბანდულად შემოპარებული მძლავრი ასაფეთქებელი ნივთიერება ჰექსოგენიც დაიჭირა, რომლის ირგვლივ გამოძიებაში თქვენ წარმოიდგინეთ, ბაჩო ახალაიას სახელიც კი გაჟღერდა.

**იმის დასტურად, რომ ნებისმიერს აგებინებენ პასუხს, სახელმწიფო ქონების ხელყოფის ბრალდებით დააკავეს ყოფილი თავდაცვის მინისტრი ჯუანშერ ბურჭულაძე. სახელმწიფო მოხელეებისთვის ქრთამის შეთავაზების(?!) და ხელისუფლების დამხობისკენ მოწოდების ბრალდებით გასკვანჩეს დოდრიალა ლევან ხაბეიშვილი, რომელიც 4 ოქტომბრის რევოლუციის მეთაურობას იჩემებს (იგი ამ პოსტზე, ფაქტობრივად, წითლიძემ ჩაანაცვლა).**

**აშკარად ჩანს, რომ ეს პროცესები მხოლოდ კრიმინალისგან ქვეყნის წმენდა არ არის, ეს მოსახლეობას სიმშვიდესა და ხელისუფლების მიმართ ნდობას მატებს.**

**ალეკო ასლანიშვილი**

ერთი წელი ხდება, რაც ე.წ. ოპოზიციური ჯგუფები და მოსახლეობის გარკვეული ნაწილი საპროტესტო აქციებს ატარებს თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში, თუმცა მათი საბოლოო მიზანი – ხელისუფლების დამხობა და ქვეყნის სრული დესტაბილიზაცია – განუხორციელებელი დარჩა. ამას დაემატა სენატორი სტივ კოენის განცხადება: სენატმა „მეგობარი აქტი" არ მიიღო და არც მიიღებსო, რაც უნუგეშოდ დადებული სამგლოვიარო ვარდი გახდა ამაო „ბრძოლისგან გადაღლილი" ოპოზიციის გულზე.

სტივ კოენმა ეს განცხადება ჰელსინკის ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კომისიაზე გააკეთა, სადაც საქართველოს მოწინააღმდეგეებად, ე.წ. „მოწმეებად" „მაღამ ექს-პრეზიდენტი" – სალომე ზურაბიშვილი და უსუფაანთ რძალი თინა ხიდაშელი გამოდიოდნენ. მმართველი გუნდის წევრებმა მათ სამართლიანად უწოდეს მოღალატეები. „ზურაბიშვილმა და თინა ხიდაშელმა ჩაიდინეს საჯარო ღალატი საკუთარი სამშობლოს წინააღმდეგ"-ო, – აღნიშნეს მათ.



„საბედნიეროდ, როგორც ირკვევა, (MEGOBARI აქტი) საბოლოოდ ჩავარდა. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია. ჩვენ გვაქვს კონკრეტული მიზანი - სუფთა ფურცლიდან, კონკრეტული ნაბიჯებით გადავტვირთოთ ურთიერთობები და განვაახლოთ სტრატეგიული პარტნიორობა აშშ-თან. ჩვენ ამის იმედს ვიტოვებთ, დანარჩენი დამოკიდებულია აშშ-ის ახალ ადმინისტრაციაზე", - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ.

ამ აქტის შესახებ ჩვენ ადრეც ვწერდით, მაგრამ კიდევ შეგახსენებთ, აქტი, რომელიც პრეზიდენტი ბაიდენის ადმინისტრაციის პირობებში მომზადდა, გახლავთ ორპარტიული კანონპროექტი, რომელიც საერთაშორისო სანქციებს ითვალისწინებდა „ქართული ოცნების" გარკვეული თანამდებობის პირების მიმართ.

# კიდევ ერთი ქაოსის სცენარი ჩაიშალა!

## საქართველო არ დაუშვებს უკან დაბრუნებას!

**2024 წლის 30 დეკემბრის მდგომარეობით, „ქართულ ოცნებასთან" დაკავშირებული 100 პირი დაექვემდებარა სანქციებს ადამიანის უფლებების დარღვევის ან დემოკრატიისთვის ძირგამომთხრელი ქმედებების გამო. სია ცნობილი ქველმოქმედისა და „ქართული ოცნების" დამფუძნებლით ბიძინა ივანიშვილით იწყებოდა „ოცნების" მთელ „ლიდერშიპთან" ერთად.**

ეტყობა, ამის იმედი ჰქონდა ე.წ გაერთიანებულ ოპოზიციას და სიამოვნებისგან ხელებსაც იფშვნეტდნენ, მაგრამ მოხდა პირიქით, სტრატეგიულ პარტნიორ აშშ-სთან და პრეზიდენტ ტრამპის ადმინისტრაციასთან საქართველოს ახალი ტიპის პოზიტიური ურთიერთობების გზა გაეხსნა, რაშიც, სავარაუდოდ, ლომის წილი მიუძღვის „ქართული ოცნების" დამფუძნებლის ტაქტიკურ და დიპლომატიურ გადაწყვეტილებებს და მმართველი გუნდის შეუპოვარ ბრძოლას. თუმცა ეს არც ყოფილა და არც არის ადვილი საქმე, როცა მმართველი ძალა თავის წრეში და პარტიის შუაგულშიც კი მტრულად და მოღალატეობრივად განწყობილ პერსონებს ხედავს.

თორნიკე რიჟვაძის შემთხვევა ჯერ არ გვქონდა ასე ვთქვათ, მონელებული, რომ მმართველი პარტიის კიდევ ერთი წევრის დანაშაულებრივ ქმედებაზე გავრცელდა ინფორმაცია.

**ზოგიერთისთვის უმწიკვლოდ მიჩნეულმა თავდაცვის მინისტრმა ჯუანშერ ბურჭულაძემ, მინისტრის იმდროინდელმა მოადგილემ და ამავე სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტის იმდროინდელმა უფროსმა, მინისტრის ახლო ნათესავის დახმარებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის აპარატის შეძენის პროცესში მიზანმიმართული ქმედებებით შექმნეს არაკონკურენტული გარემო, რის შედეგადაც, არარეალური ბარიერების დადების გზით, ხელოვნურად გაიზარდა აპარატის რეალური საბაზრო ღირებულება და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 1 333 728 ლარის ქონებრივი ზიანი მიადგა. ჯუანშერ ბურჭულაძეს 9-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.**

ამ ინციდენტში, ყველა სხვა ფაქტორებთან ერთად, პრობლემა კიდევ ისაა, რომ, როცა მაღალი რანგის სამხედრო ან თავდაცვის ფიგურებს იჭერენ ფულის გათეთრებისა ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ბრალდებებით, სამართალს შეუძლია ან გაამყაროს ხელისუფლების პოზიციები, ან პირიქით — კონფლიქტის მასშტაბი გააფართოოს, მით უფრო მაშინ, როცა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ახლოვდება და პოლიტიკური პროცესები მეტად აქტიურ ფაზაში გადადის.

ე.წ. ოპოზიცია კი არ იღლება და არ ისვენებს. რამდენიმე დღის წინ ერთ სატელევიზიო არხზე „ნაცმოძრაობის" ყოფილი პარტიული თავმჯდომარე ლევან ხაბეიშვილი ხელებს ჰაერში ასავსავებდა, ორმოში ჩავარდნილი ბაყაყივით ატრიალებდა თვალებს და 4 ოქტომბრის შემდეგ საქართველოს რევოლუციურ ცეცხლში გახვევით და სახელმწიფო გადატრიალებით იმუქრებოდა, თუმცა თვითონ გაეხვია შარში. ის ხელისუფლების ძალადობით დამხობის მოწოდებისთვის და პოლიციელისათვის ოპოზიციის მხარეს გადასვლის სანაცვლოდ გარკვეული რაოდენობის თანხის შეთავაზების გამო დააკავეს.




არავის დაჭერა არ არის სასიხარულო, მით უმეტეს, თუ ეს დაკავება პოლიტიკურ იერს იღებს და საზოგადოების პოლარიზაციას აღრმავებს, მაგრამ რას ვიზამთ, როცა ამ მავნებლების მიერ წლების განმავლობაში ისეთ გამოუვალ ლაბირინთში ვტრიალებთ, რომ საიდან რა სახის საფრთხე შეიძლება გამოჩნდეს ან რომელი მოსახვევიდან გამოყოფს თავს ფარული ოპოციზიური მინოტავრი, კაციშვილმა არ იცის. მით უფრო, რომ ქვეყნის შიგნით ჩაბუდებული ქართულენოვანი ვაი ქართველები, თავიანთ თავს ოპოზიციას რომ უწოდებენ, სინამდვილეში მტრისგან ჩანერგილები ბრძანდებიან. ამიტომაცაა ოპოზიციას ეგრეთ წოდებულად რომ მოვიხსენიებთ ყოველთვის. სამაგიეროდ, ქართული ოპოზიციის ასევე ე.წ. ლიბერალური ნაწილი თავიანთ თავს დემოკრატებს, აზრის თავისუფლების მხარდამჭერებსა და ლიბერალებს უწოდებენ.

**როგორც იცით, თანამედროვე საზოგადოებაში ლიბერალები მხარს უჭერენ ლიბერალურ დემოკრატიას ღია და თანასწორი არჩევნებით, სადაც ყველა მოქალაქეს ერთნაირი უფლებები აქვს კანონით მინიჭებული. ეს განმარტებაა ქაღალდზე და მხოლოდ რეკლამისთვისაა, სინამდვილეში, თანამედროვე ლიბერალები და მათ შორის ქართველი ლიბერალებიც, პიროვნულ თავისუფლებას შავი მორიელივით ვერ იტანენ, ხოლო საწინააღმდეგო აზრი მათთვის ხარისთვის აფრიალებული წითელი ნაჭერია. ამის კიდევ ერთი სამწუხარო მაგალითი იყო 31 წლის ამერიკელი კონსერვატორის ჩარლი კირკის მკვლელობა, რაზეც ლამის საზეიმო კამპანია გააჩაღეს ლიბერალმა ქართველმა „აპაცუკებმა".**

**„სულიერი ბრძოლა დასავლეთისკენ მოიწევს... რათა შეუტიონ იმას, რასაც ჩვენ ამერიკული ცხოვრების წესს ვეძახით. ამერიკული ცხოვრების წესი... ქრისტიანობაზე დგას. ქრისტიანებმა თავიანთი მსხვერპლით, შრომით და ხედვით, წმინდა წერილით, მოგვცეს დასამტკიცებლად ჩვენი ცივილიზაცია და მე ვფიქრობ, რომ სწორედ აქ არის შეკრებისა და ბრძოლის ადგილი, არ აქვს მნიშვნელობა ლათინოსი ხარ, აზიელი, შავი თუ თეთრი, თუ შენ ხარ ქრისტიანი და იესო ქრისტე არის შენი უფალი და მაცხოვარი.**

**ეს ორი საფრთხე ერთიანდება ჩვენზე თავდასასხმელად და დადგა დრო, რომ ეკლესია წამოიმართოს და ამის წინააღმდეგ გაილაშქროს"**, – ამბობდა **ჩარლი კირკი** საჯარო გამოსვლისას.

კირკის მკვლელობის საქმეზე დონალდ ტრამპმა პრესკონფერენცია გამართა, სადაც FBI-ის დირექტორმა განაცხადა, რომ ჩარლი კირკის მკვლელობის ბრალდებით დაკავებული იყო ტაილერ რობინსონი.

გამოძიების ინფორმაციით, იპოვეს ვაზნები, რომელზეც ეწერა: **„ეი, ფაშისტო, დაიჭირე", „შენ თუ ამას კითხულობ, გეი ხარ".**

**მაგრამ ვინ იყო ეს „ფაშისტი" ჩარლი კირკი?**

იგი გახლდათ კონსერვატიზმის მიმდევარი, მემარჯვენე ახალგაზრდული მოძრაობის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა აშშ-ში.

კირკის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებული იყო უდიდესი ახალგაზრდული კონსერვატიული ორგანიზაცია, რომელიც მოქმედებდა 3000-ზე მეტ საშუალო სკოლასა და უნივერსიტეტების კამპუსებში, სადაც გერთიანებული იყო 650 000-ზე მეტი სტუდენტი და 450-ზე მეტი მხარდამჭერი.

კირკი ცნობილი იყო მედიის სამყაროშიც. მისი კომენტარები რეგულარულად ქვეყნდებოდა გავლენიან ამერიკულ გამოცემებში.

ბოლო დღეების მოვლენათა ჯაჭვი გვიჩვენებს, რომ ადგილობრივი და გლობალური პოლიტიკა ერთმანეთზეა გადაჯაჭვული და ამ ვითარებაში საქართველოს ძირითადი პრობლემა ისაა, როგორ შეინარჩუნოს შინაგანი თანხმობა და საერთაშორისო ნდობა ერთდროულად.

**ისტორია მკაცრ გამოცდებს გვიწყობს, მაგრამ სწორედ ასეთ დროს ჩანს, ვის შეუძლია პასუხისმგებლობის ტარება და ვის მხოლოდ ქუჩის აქციებით დროის გაყვანა და ქვეყნის ბედ-იღბლით სარისკო თამაში. საქართველოს პოლიტიკური სცენა დღეს ნათლად აჩვენებს, რომ ქაოსისა და დაშლის სურვილი ერთ მხარესაა, ხოლო სიმტკიცე და ქვეყნის ინტერესზე ორიენტირებული ხედვა – მეორე მხარეს.**

**ქვეყანა, რომელმაც ამდენი რამ გადაიტანა, აღარ დაუშვებს უკან დაბრუნებას, აღარ დაუშვებს იმ ძალების დაბრუნებას, რომლებიც საკუთარ ხალხს მხოლოდ ექსპერიმენტის საგნად მიიჩნევდნენ. დღეს საქართველოს სჭირდება სიძლიერე, სტაბილურობა და ეროვნული ღირსების დაცვა. სწორედ ეს არის ის ღირებულებები, რომელსაც „ქართული ოცნება" და მისი დამფუძნებელი უკვე წლებია მტკიცედ იცავენ.**

ვინც მოვლენებს ღრმად აკვირდება, ხედავს, რომ საქართველოს სცენაზე მოქმედი ფიგურები ხშირად მხოლოდ ნაწილობრივ არიან ავტონომიური მოთამაშეები, ხოლო უფრო ფართოდ გახელილი თვალებით თუ დავაკვირდებით, აშკარაა ქვეყნის ცხოვრებაში „დიფ სტეიტის" – უხილავი ბიუროკრატიული და ფინანსურ-პოლიტიკური ქსელების – ჩარევა არა მხოლოდ ვაშინგტონის, არამედ თბილისის პოლიტიკურ ცხოვრებაშიც.

„დიფ-სტეიტს", იგივე საიდუმლო, ან, ასე ვუწოდოთ, არალეგალური მთავრობის სტრუქტურას, არ აქვს სახე და სახელი, მაგრამ აქვს გამოკვეთილი ინტერესები: – მაქსიმალური კონტროლი იქონიონ პარტნიორ ქვეყნებზე, მათ შორის საქართველოზეც; გავლენა ჰქონდეთ პოლიტიკური პროცესების მიმართულებაზე და საკუთარი „ლიბერალური დღის წესრიგი" გააძლიერონ ადგილობრივ ოპოზიციურ ძალებთან თანამშრომლობით. ყოველივე ამის გათვალისწინებით, შემთხვევითი არ არის, რომ ოპოზიციის ლიდერები თავიანთი მიმდევრებისთვის გაგზავნილ მთავარ მესიჯებში სიტყვასიტყვით იმეორებენ დასავლური არასამთავრობო ცენტრების და თავად „დიფ სტეიტის" ქსელის რიტორიკას.

**„მეგობარი აქტის" ჩავარდნაც სწორედ იმ უხილავი ბერკეტების გამოყენების მცდელობა იყო, რომლებიც საქართველოს სუვერენიტეტს საფრთხეს უქმნიან და როცა ეს ვერ განხორციელდა, ამუშავდა ახალი მანქანა– ოპოზიციური დაძაბულობის გაღვივება, ქუჩის მობილიზაცია და ხელისუფლების სრული დისკრედიტაციის მცდელობა.**

**როგორც ვხედავთ, საქართველოს ბრძოლა ქვეყნის შიგნით მშვიდობისა და სტაბილურობისთვის რეალურად დაკავშირებულია გლობალურ და გლობალისტურ ძალებთან ბრძოლასთან; მაგრამ შეძლებს ჩვენი პატარა ქვეყანა, გადალახოს იმ დიდი სისტემების ზეწოლა, რომელიც ყველა განსხვავებული ხმის და აზრის ჩახშობას ცდილობს?**

**ცდა ბედის მონახევრეაო! ამ უთანასწორო ბრძოლაში მმართველი ძალა დღეს ასრულებს არა მხოლოდ პოლიტიკური პარტიის როლს, არამედ სახელმწიფოებრივი მშვიდობის დამცველის მოვალეობასაც. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყნის ბედი ისე გადაიწერება სხვების გულგრილი სცენარებით, რომ, საბოლოო ჯამში, არა მხოლოდ საქართველოს და ქართველი ერის ბედი, არამედ, ზოგადად, დედამიწაზე ოდითგანვე არსებული ხან ღია და ხანაც ფარული კეთილისა და ბოროტის დაუსრულებელი, სულიერი და რელიგიური ბრძოლა დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ და ამ წინააღმდეგობაში საქართველომ რომ გაიმარჯვოს, აუცილებლად უნდა იდგეს ნათელის, ანუ კეთილის მხარეს, იმ მხარეს, რომელსაც, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, ღმერთის სახელიც შეიძლება ვუწოდოთ...**



**ირანდა კალანდაძე**




# ღვაწლმოსილი მეცნიერი, ქართული ვაზის დიდი მსახური და მოამაგე

## აკადემიკოსი ნოდარ ჩხარტიშვილი

**მევენახეთა ქართული სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილ წევრს ნოდარ ჩხარტიშვილს მიმდინარე წლის 17 სექტემბერს დაბადებიდან 95 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 70 წელი შეუსრულდა.**

ბატონი ნოდარი დაიბადა 1930 წლის 17 სექტემბერს ოზურგეთის რაიონის სოფელ ჯუმათში. 1948 წელს დაამთავრა ჯუმათის საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, რომლის წარმატებით დამთავრების შემდეგ, 1957 წელს მუშაობა დაიწყო ქედის რაიონში უბნის აგრონომის თანამდებობაზე. იმავე წელს ჩააბარა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ასპირანტურაში მევენახეობის კათედრაზე. 1959 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა სოფლის მეურნობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარიხი.

აკადემიკოსი ნოდარ ჩხარტიშვილი 75 წელზე მეტია, რაც ემსახურება ჭეშმარიტად ეროვნულ საქმეს და დამსახურებულად ატარებს „ქართული ვაზის მესაიდუმლესა და ქომაგის“ საპატიო წოდებას.

აკადემიკოსი ნოდარ ჩხარტიშვილი მევენახეობის იმ ქართული სკოლის აღზრდილი და ღირსეული გამგრძელებელია, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს აკადემიკოსებმა, პროფესორებმა **სოლომონ ჩოლოყაშვილმა, ნიკოლოზ ქანთარიამ** და **მაქსიმე რამიშვილმა.**

ბატონი ნოდარი 1973 წლის სექტემბრიდან 1974 წლის მაისამდე მუშაობდა მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში, ხოლო 1974 წელს არჩეულ იქნა დღევანდელი აგრარული უნივერსიტეტის მევენახეობის კათედრის გამგედ, დოცენტად, პროფესორად.

1975 წლიდან იგი 30 წელზე მეტხანს ხელმძღვანელობდა მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს. სწორედ ამ პერიოდში დარგში მისი ხელმძღვანელობითა და თანმიმდევრული შემოქმედებითი შრომის შედეგად გამოყვანილია ვაზისა და ხეხილის 50-ზე მეტი ახალი სელექციური ჯიში: ქართული საადრეო, კოლხურა, ვარძია, რქაწითელი მუსკატური და სხვ; გამოვლენილია 30-ზე მეტი სამრეწველო ვაზის ჯიშის გაუმჯობესებული კლონი, გამოყვანილია 50-ზე მეტი ხეხილოვანი კულტურის ახალი ჯიში. დამუშავებულია ვაზისა და ხეხილის ნერგის წარმოების ახალი ტექნოლოგიები, ვენახისა და ხეხილის გაშენება-მოვლის მაღალინტენსიური ტექნოლოგიები და მობილური ტექნიკა, პერმანენტულად ხორციელდებოდა სამრეწველო ასორტიმენტის გაუმჯობესება-განახლება. მსოფლიოში ქართული ვაზის უმდიდრესი გენოფონდის დაცვა კი სწორედ მის სახელთან არის დაკავშირებული. ნოდარ ჩხარტიშვილის ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით ინსტიტუტში დამუშავდა და 1998 წელს მიღებულ იქნა „საქართველოს კანონი ვაზისა და ღვინის შესახებ“, დამუშავდა ასევე დარგის განვითარების გრძელვადიანი კონცეფცია, შემუშავებულია ყურძნისა და ხილის გადამუშავების ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო ტექნოლოგიები. მის სახელს უკავშირდება 20-მდე დასახელების ადგილწარმოშობის ქართული ღვინოების წარმოების სამართლებრივი საფუძვლების განმსაზღვრელი პარამეტრები.

აკადემიკოს ნოდარ ჩხარტიშვილის მიერ შემუშავებული იქნა მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განვითარების მასშტაბური კონცეფცია, რომელიც მისივე ხელმძღვანელობით წარმატებით განხორციელდა 2000-2003 წლებში მსოფლიო ბანკის მხარდაჭერითა და ფინანსური დახმარებით.

1998 წლიდან მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაატარა ვაზის სარგავი მასალის წარმოების სფეროში, დაამუშავა ნამყენი ნერგის წარმოების ახალი ტექნოლოგიური მეთოდები და სქემები, რისთვისაც მან სახელმწიფო პრემია დაიმსახურა.

მისი თაოსნობითა და მცენარეთა გენოფონდის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის „იპგრის“ მხარდაჭერით ვაშლიჯვრის ექსპერიმენტულ ბაზაზე 400-ზე მეტი ქართული ვაზის ჯიში იქნა თავმოყრილი. ქართული ვაზის 150 სახეობის ჯიში გაშენდა იტალიის საერთაშორისო კოლექციაში და 200-ზე მეტი დარეგისტრირდა საერთაშორისო კატალოგში.

2004 წელს იტალიაში მილანის უნივერსიტეტში დაბეჭდილ კაპიტალურ წიგნში „ვაზი და ადამიანი“ პირველად გამოქვეყნდა რუკა, სადაც საქართველოს ტერიტორია აღიარებულია კულტურული ვაზის ფორმათა წარმოშობის პირველად კერად, საიდანაც იღებს სათავეს „ვაზის გზა“ დასავლეთითა და აღმოსავლეთით. ამავე წიგნში დახასიათებული და ილუსტრირებულია 150 ქართული ენდემური ჯიში, რომლის ავტორიც გახლავთ ნოდარ ჩხარტიშვილი. იგივე წიგნი იტალიურ და ინგლისურ ენებზე გამოიცა 2009 წელს, ხოლო 2011 წელს მას და მის თანაავტორს მიენიჭა მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო ორგანიზაციის პრემია.

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პარალელურად აკადემიკოსი ნოდარ ჩხარტიშვილი დიდ ყურადღებას უთმობდა დარგისათვის ახალგაზრდა კადრების მომზადებას. მისი აღზრდილია არაერთი გამოჩენილი მეცნიერი და სპეციალისტი. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 30-ზე მეტი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. 2007 წლიდან 2020 წლამდე იგი გახლდათ იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი და ამავე უნივერსიტეტში აგრონომიული და სასურსათო ტექნოლოგიის სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი საკვალიფიკაციო საბჭოს წევრი.

ამ და სხვა მრავალი მიღწევისათვის, ბატონი ნოდარი დაჯილდოვდა არაერთი პრემიითა და მედლით.

დარგში შეტანილი წვლილისთვის, 2014 წელს, პირადად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ გადასცა საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდო – **„წმინდა გიორგის ოქროს ორდენი“.**

დაბოლოს, სწორედ აკადემიკოს ნოდარ ჩხარტიშვილის სახელს უკავშირდება საგურამოში პირველი სანერგე მეურნეობის შექმნა, რომელიც 2000 წელს მის მიერ შემუშავებული დარგის განვითარების კონცეფციის ნაწილი გახლდათ.

კონცეფცია რეალობად იქცა: ქართველი მეცენატის, ბატონი ბიძინა ივანიშვილის ხელშეწყობითა და თანადგომით ჩაეყარა საფუძველი სანერგე მეურნეობას, რომელიც დღეს ჯიდაურას მრავალწლოვანი კულტურების ბაზის სახელითაა ცნობილი და გახლავთ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის შემადგენლობაში.

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია გულითადად ულოცავს აკადემიკოს ნოდარ ჩხარტიშვილს – მეცნიერს, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება ქართული ვაზის სიყვარულს, ეროვნული დარგის – მევენახეობა-მეღვინეობის მომავლისთვის შრომასა და ძიებას მიუძღვნა, ამ საიუბილეო თარიღებს და უსურვებს ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.**

საქართველოს
სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემია

# საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის განცხადება

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ ა.წ. 14 ივლისს გამოცხადებულ ვაკანსიებზე საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტების ასარჩევად არჩევნებში მონაწილეობისათვის დაშვებულები არიან შემდეგი კანდიდატები:**

– აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილება: სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი **გიზო გოგიჩაიშვილი,** სოფლის მეურნეობის დოქტორი **დავით მაღრაძე;**

– მეცხოველეობისა და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილება: ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი **დავით გოდერძიშვილი**, ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი **მაია კერესელიძე;**

– აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილება: ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი **ომარ თედორაძე,** ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი **ზაზა მახარობლიძე**, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი **გელა ჯავახიშვილი;**

– სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილება: ბიოლოგიის დოქტორი **ქეთევან ლაფერაშვილი,** ტექნიკის დოქტორი **მალხაზ დოლიძე,** ტექნიკის დოქტორი **ეკატერინა კაციტაძე;**

– გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილება: სატყეო საქმის დოქტორი **გიორგი ქავთარაძე;**

– ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილება: ეკონომიკის დოქტორი **ეკატერინე ზვიადაძე**.

# გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის დიდი სპეციალისტი

## აკადემიკოსი ლაშა დოლიძე



**სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანს, აკადემიკოს ლაშა დოლიძეს მიმდინარე წლის 17 სექტემბერს დაბადებიდან 60 და სამეცნიერო მოღვაწეობიდან 30 წელი შეუსრულდა.**

ბატონი ლაშა დოლიძე დაიბადა 1965 წლის 17 სექტემბერს ქალაქ თბილისში. 1982 წელს წარჩინებით დაამთავრა ქ. თბილისის მე-60 საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტზე. 1986 წელს ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, მას მიენიჭა სატყეო მეურნეობის ინჟინრის კვალიფიკაცია.

1987-2012 წწ. ბატონი ლაშა მუშაობდა ვასილ გულისაშვილის სახელობის სატყეო ინსტიტუტში, სადაც გაიარა გზა უფროსი ლაბორანტიდან, ტყის აღდგენისა და სატყეო მელიორაციის სამეცნიერო განყოფილების უფროსამდე (2006-2012 წწ.). 1993 წელს მან წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, ხოლო 2006 წელს სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

2021 წელს ბატონი ლაშა დოლიძე არჩეული იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად).

აკადემიკოსი ლაშა დოლიძე აქტიურად და ნაყოფიერად მონაწილეობს სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივ პროექტებში და სამეცნიერო პროგრამებში: 2002-2003 წლებში იყო საერთაშორისო ინოვაციური პროექტი: „თბილისი-ბაქო-ჯეიჰანი"-ს დამოუკიდებელი ეკოლოგიური ექსპერტი; არასამთავრობო ორგანიზაცია „მეტყევეთა საზოგადოების" ერთ-ერთი დამფუძნებელი და წევრი (2003 წ.); საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აგრარულ მეცნიერებათა პრობლემების სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდივანი (2002-2006 წწ.); საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სახელმწიფო, საგრანტო პროექტების ხელმძღვანელი, შემსრულებელი (1989-2012 წ. წ.); სახელმწიფო ეროვნული სამეცნიერო ფონდის (სესფ 2011 წ.) საგრანტო პროექტის შემსრულებელი, საერთაშორისო ინოვაციური პროექტების: „ხელმისაწვდომობა, ეკოლოგიური გარემოს" (შვედეთი საქართველო, 2014-2016 წ.წ.) და პროექტის „Rotary Club-Tbilisi-Academia" (აშშ კალიფორნია, საქართველო, თბილისი, 2012-2014 წწ.) მენტორი, ეკოლოგიური ექსპერტი; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ბუნებრივი კატასტროფების სამეცნიერო პრობლემების შემსწავლელი კომისიის წევრი (2023 წლიდან).

ლაშა დოლიძეს მინიჭებული აქვს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის „ეროვნული კოორდინატორის", ასევე სატყეო დარგის ექსპერტის წოდება (2016 წ.), მიღებული აქვს აკადემიის საპატიო სიგელი – „სატყეო დარგის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის" (2019 წ.).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აჭარის სამეცნიერო-საკონსულტაციო ცენტრის დაკვეთით 2020-2022 წწ. ბატონი ლაშას ხელმძღვანელობით, შესრულდა სამეცნიერო პროექტი „აგროსექტორის მდგრადი განვითარება", ხოლო 2023 წლიდან იგი ხელმძღვანელობს ოთხწლიან სამეცნიერო პროექტს – „აგროსერვისის განვითარება რეგიონში", ქვეპროგრამა: „ადგილობრივი მოსახლეობის და ფერმერთა შემოსავლების გაზრდის მიზნით მაღალმთიანი აჭარის ტყის შემქმნელ ძირითად ფორმაციებში გავრცელებული ზოგიერთი სამკურნალო მცენარის სასარგებლო თვისებები და მათი სამეურნეო გამოყენების რეკომენდაციების შემუშავება".

**აკადემიკოს ლაშა დოლიძის მონოგრაფია – „საქართველოში განვითარებული ტყის ხანძრები და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მეცნიერული საფუძვლები" გახლავთ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ 2023 წელს „აგრარულ დარგში წლის საუკეთესო ფუნდამენტური, გამოყენებითი და საგანმანათლებლო ნაშრომის" გამოსავლენად გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებული ნაშრომი.**

2023 წლის ივნისიდან აკადემიკოსი ლაშა დოლიძე არჩეული იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივნად და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრად.

აკადემიკოს ლაშა დოლიძის სამეცნიერო კვლევები ძირითადად მოიცავს საქართველოს ტყის ეკოსისტემების შემქმნელი ძირითადი სახეობების (წიფლნარები, ნაძვნარები, სოჭნარები, ფიჭვნარები, მუხნარები და სხვა.) მიერ მეტად მნიშვნელოვანი: წყალმარეგულირებელი, წყალშენახვითი, ნიადაგდაცვითი, რეკრეაციული, სანიტარიულ-ჰიგიენური, გამაჯანსაღებელი, სოციალურ-ეკოლოგიური, დაცვით-ეკოლოგიური ფუნქციების მდგრადობის შესწავლას; დეგრადირებული ტყის ეკოსისტემების აღდგენა-გაუმჯობესების, სატყეო სამეურნეო, სატყეო-სამელიორაციო ღონისძიებების, რეკომენდაციების შემუშავებას და ტყის ეკოსისტემებში მათ დანერგვას; აგრეთვე ტყის ეკოსისტემის დაცვას, მოვლა-აღდგენას, კვლავწარმოებას; საქართველოს სატყეო მეურნეობისა და მთლიანობაში სატყეო დარგის სტრუქტურული მოწყობის, ოპტიმიზაციის, მათში მართვისა და ეფექტური კონტროლის მექანიზმების დახვეწას; სატყეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მართებულად რეალიზებას, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფას, დაცვითი ტყის ზოლების აღდგენას და სხვ.

აკადემიკოს ლაშა დოლიძეს გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც გარდა ადგილობრივი, მაღალრეიტინგული შრომათა კრებულებისა, ციტირებული და გამოქვეყნებულია საერთაშორისო უცხოურ სამეცნიერო შრომათა კრებულებსა და გამოცემებში.

ზემოაღნიშნულ პრობლემატიკას, ეკოსისტემების დაცვით-ეკოლოგიური ფუნქციების მდგრადობას ეძღვნება აკადემიკოს ლაშა დოლიძის მიერ მომზადებული და გამოცემული ოთხი მონოგრაფია, ასევე, შემუშავებული და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცემული 6 რეკომენდაცია.

აკადემიკოს ლაშა დოლიძეს ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და ერთი შვილიშვილი.

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია გულითადად ულოცავს წარმატებულ და აღიარებულ მეცნიერს, შესანიშნავ მამასა და ბაბუას, აკადემიკოს ლაშა დოლიძეს საიუბილეო თარიღებს, უსურვებს ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, ნაყოფიერ შემოქმედებით, სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.**

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია**

# განცხადება

## საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების თაობაზე

**1. 2025 წლის 17 სექტემბრიდან გამოცხადდეს ღია კონკურსი სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულებში სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად შემდეგ პოზიციებზე:**

1.1 **ნეიროფიზიოლოგიის ლაბორატორია** – მეცნიერი თანამშრომელი (1 ერთეული „ა",კატეგორია);

1.2 **ბიოფიზიკის ლაბორატორია – მეცნიერი თანამშრომელი (1 ერთეული „ა"კატეგორია);**

2. მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

3. კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

3.1.განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ – სამეცნიერო-სტრუქტურული ერთეულის (ლაბორატორია), დასაკავებელი პოზიციისა და კატეგორიის მითითებით;

3.2. განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

3.3. კალენდარული ავტობიოგრაფია – CV, მასში მოყვანილი ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლებით;

3.4. დიპლომების ასლები;

3.5 გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი

ა) სტატიების სრული სია;

ბ) თეზისების სრული სია;

3.6. საუკეთესო ნაშრომის ასლი, რომელიც უკეთესად წარმოაჩენს კონკრეტულ სტრუქტურულ ერთეულში მიმდინარე სამეცნიერო კვლევებში განმცხადებლის სამეცნიერო პოტენციალს, კვლევის უნარს;

4. კონკურსი ჩატარდება გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით;

6. კონკურსის ჩატარების თარიღია 2025 წლის 30 ოქტომბერი.

7. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ვადაა 2025 წლის 20 ოქტომბრიდან 2025 წლის 24 ოქტომბრის ჩათვლით.

7.1. არასრული და არასწორი ინფორმაციის მოწოდების შემთხვევაში კანდიდატურა არ განიხილება;

8. საბუთები მიიღება სსიპ ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრში,

მისამართი: 0160, თბილისი, ლ. გოთუას ქუჩა N14, II სართული, სამდივნო. (საბუთების მიღება ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა 10:00 საათიდან 18:00 საათამდე).

9. კონკურსანტების განცხადებების რეგისტრაციისა და საბუთების მისაღებად შეიქმნას სამდივნო შემდეგი შემადგენლობით:

საკონტაქტო პირები:

**მარიამ ირემაშვილი** – ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი;

**ნინო ემუხვარი** – დირექტორის თანაშემწე;

ტელ.: 2 37 12 31; 2 37 03 00 ((227), (229), (225));

e-mail – **secretary@biomedicine.org.ge**

10. ინფორმაცია კონკურსის შესახებ გამოქვეყნებულ იქნას საქართველოს კანონმდებლობითა და ცენტრის წესდებით გათვალისწინებული წესით.

სიმართლეს ვერვინ დაემალება...



# აბსურდის მსახური ამერიკელი ჟურნალისტები



## ბიძინა ივანიშვილის ადვოკატის თემურ წიქვაძის საგანგებო განცხადება

**ბიძინა ივანიშვილის ადვოკატმა თემურ წიქვაძემ გიორგი ბაჩიაშვილის საქმეზე უცხოური მედიის ზოგიერთი წარმომადგენლის მიერ გამოთქმულ ინტერესთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა.**

Former aide to de facto leader of Georgia being held as 'personal prisoner', mother claims

Marina Ramazashvili says son, Giorgi Bachiashvili, was the victim of a 'vendetta' by billionaire politician




როგორც **თემურ წიქვაძის** მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ განცხადებაშია აღნიშნული, მას დაუკავშირდა **THE GUARDIAN**-ის ჟურნალისტი და ე.წ ფრილანსერი ჟურნალისტი, რომელიც სტატიას ამზადებდა **THE NEW YORK TIMES**-ისთვის.

თემურ წიქვაძის განმარტებით, ორივე ჟურნალისტის შემთხვევაში იკვეთება, რომ არიან დაქირავებული **ბაჩიაშვილის,** მისი ოჯახის მიერ, მოქმედებენ მერკანტილური ინტერესით და ცდილობენ მცდარი წარმოდგენების დამკვიდრებასა და **ბიძინა ივანიშვილის** დისკრედიტაციას.



DANIEL BOFFEY



PHILIP SHISHKIN

„მსურს, საზოგადოებას მივაწოდო ინფორმაცია დაზარალებული ბიძინა ივანიშვილის კუთვნილი ბიტკოინების გიორგი ბაჩიაშვილის მიერ მართლსაწინააღმდეგო მითვისებისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის საქმეზე უცხოური მედიის ზოგიერთი წარმომადგენლის მიერ გამოთქმულ ინტერესთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხზე, როგორც ბიძინა ივანიშვილის წარმომადგენელს, დამიკავშირდნენ **The Guardian**-ის ჟურნალისტი **Daniel Boffey** და **Philip Shishkin**-ი (ე.წ ფრილანსერი ჟურნალისტი), რომელიც, მისივე განმარტებით, სტატიას ამზადებდა **The New York Times**-სთვის.

სამწუხაროდ, ორივე აღნიშნული პირის შემთხვევაში აშკარად იკვეთება, რომ არიან დაქირავებულები ბაჩიაშვილის ან მისი ოჯახის მიერ, მოქმედებენ მერკანტილური ინტერესით და, ამავდროულად, პირდაპირ ცდილობენ, მცდარი წარმოდგენები დაამკვიდრონ თავიანთ მკითხველთა წრეებში სადავო საკითხთან დაკავშირებით, მოახდინონ ჩემი მარწმუნებლის, დაზარალებული ბიძინა ივანიშვილის დისკრედიტაცია.

აღნიშნული კი კიდევ უფრო აღრმავებს ეჭვებს, რომ, გარდა თავიანთი მერკანტილური ინტერესების გატარებისა, მითითებული ჟურნალისტები თუ მედიასაშუალებები ასრულებენ (ატარებენ) დამატებით სხვა დავალებებსა და ინტერესებს, რასაც უფრო ხანგრძლივი ისტორია და ღრმა ფესვები აქვს, ვიდრე ბაჩიაშვილის დანაშაულებრივი საქმიანობა.

ზემოაღნიშნულის პირდაპირი დასტურია ბატონი **Daniel Boffey**-ს ბოლო კომუნიკაციის მცდელობა ჩემთან. კერძოდ, 2025 წლის 12 სექტემბერს, სამუშაო დღის ბოლოს ელექტრონულ ფოსტაზე მივიღე **Daniel Boffey**-ს წერილი (წერილი ელფოსტაზე გამოიგზავნა 17 საათზე, ხოლო მე პირადად გავეცანი მას მოგვიანებით), რომელშიც იყო მოცემული რამდენიმე აბსტრაქტული შინაარსის, უსაფუძვლო ბრალდება (მაგალითად: ბატონი ბაჩიაშვილი ბატონი ივანიშვილის პირადი პატიმარია, ბატონ ივანიშვილს აკლია თანაგრძნობა და შესაძლოა, გოროტი იყოს და მსგავსი აბსურდული მოსაზრებები), რომელიც გაჟღერდა ბაჩიაშვილის დედის მიერ.

ამასთან, ბატონმა **Boffey**-მ ჩემი მხრიდან კომენტარის გაკეთების სურვილის არსებობის შემთხვევაში კატეგორიული ფორმით მოითხოვა აღნიშნულის განხორციელება იმავე დღის საღამოს ექვს საათამდე ბრიტანული დროით. ამავდროულად, ამ უსაფუძვლო, დაუსაბუთებელი ბრალდებების პრესაში გაჟღერების აუცილებლობა დაასაბუთა იმით, რომ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა დეკემბერში მიიღო გადაწყვეტილება, დააწესოს სანქციები ბატონი ბიძინა ივანიშვილის მიმართ, თითქოს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ძირის გამოთხრის, ადამიანის უფლებების დარღვევის ხელშეწყობისა და ფუნდამენტური თავისუფლებების შეზღუდვის გამო.

ბრიტანელი ჟურნალისტის ე.წ. კითხვები ჩამოყალიბებულია „დედის ბრალდებების" სახით, მოკლებულია ყოველგვარ კონკრეტიკასა და საფუძველს. აშკარაა, რომ მიზანი ჟურნალისტისა არის არა საქმის შესახებ რეალური ვითარების გარკვევა (მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ საზოგადოებისათვის საჯაროდ არაერთხელ მოვახდინეთ საქმის ირგვლივ არსებითი განმარტებები და არცერთხელ აღნიშნულზე არ უპასუხიათ არც ბაჩიაშვილს და არც მის ადვოკატებს), არამედ უარყოფითი შინაარსით ფორმულირებული ინფორმაციის გავრცელება მედიასივრცეში.

ამასვე ადასტურებს წერილის გამოგზავნის დრო და მასზე რეაგირებისათვის განსაზღვრული პერიოდი. როგორც აღვნიშნე, წერილი გამოიგზავნა პარასკევს (2025 წლის 12 სექტემბერი) სამუშაო დღის დასასრულს და მასში კატეგორიული ფორმით განსაზღვრული იყო მხოლოდ 3 საათი რეაგირებისათვის. ცხადია, რომ ჟურნალისტმა ამით ფორმალურად შეასრულა თავისი ეთიკური ვალდებულება „მეორე მხარის" ინფორმირებისა. თუმცა, რეალურად, არც კი მისცა დაზარალებულ მხარეს რეაგირებისთვის დრო (როგორც იკვეთება, არც აინტერესებდა პასუხები) და დაუყოვნებლივ გამოაქვეყნა შეკვეთილი სტატია.

აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენი პირველი კომუნიკაციის შემდგომ ბატონ **Daniel Boffey**-სთან, რა დროსაც მან ასევე უაპელაციოდ განმისაზღვრა პასუხებისთვის დროის ჩარჩო, შემდგომ გადააცილა სტატიის გამოქვეყნების ჩემთან გაჟღერებულ ყველანაირ ვადას და, ამავდროულად, ჩემი პასუხები ასახა მაქსიმალურად ზოგადი, „უღიმღამო" ფორმითა და შინაარსით (ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში საერთოდ არ ასახა), ნათლად ავუხსენი მას, რომ მისი არაკეთილსინდისიერი ქმედებები მიუღებელი იყო ჩემთვის და ვწყვეტდი მასთან კომუნიკაციას. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან ერთმნიშვნელოვნად გამოიკვეთა, რომ მისი სურვილი იყო არა ჩემი დასაბუთებული პასუხების მიღება და მისი მკითხველისთვის გაცნობა, არამედ დაზარალებული მხარის პოზიციების გაგება და გამოსაქვეყნებელი სტატიების დამკვეთებისათვის მისაღები ფორმით მომზადება, რასაც მხოლოდ ერთი მიზანი გააჩნდა – მაქსიმალურად უარყოფით კონტექსტში წარმოეჩინათ ბატონი ბიძინა ივანიშვილი.

აქვე მოკლედ შევეხები **Daniel Boffey**-ს მიერ მის ბოლო ელექტრონულ წერილში ბიძინა ივანიშვილის სანქცირებასთან დაკავშირებით მტკიცებით ფორმაში ასახულ მსჯელობას, თითქოს იგი დაასანქცირეს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ძირის გამოთხრის, ადამიანის უფლებების დარღვევის ხელშეწყობისა და ფუნდამენტური თავისუფლებების შეზღუდვის გამო. აღნიშნული ცრუ მსჯელობა ასახულ იქნა კიდეც მის მიერ სტატიაში.

ბატონი ბიძინა ივანიშვილის მიმართ მართლაც ჰქონდა ადგილი დაუსაბუთებელი სანქციის გამოყენებას ამერიკის შეერთებული შტატების წარმავალი ადმინისტრაციის მხრიდან. თუმცა ეს დაუსაბუთებელი სანქცია შემოიფარგლა მხოლოდ „რუსეთთან საეჭვო კავშირებზე" მითითებით (ვიმეორებ, დაუსაბუთებლად, ყოველგვარი კონკრეტიკისა და ფაქტებზე მითითების გარეშე), მაშინ როცა ბატონი **Daniel Boffey**, ზოგიერთი არასამთავრო ორგანიზაციის სტილში, გვთავაზობს „ბრალდებების" მთელ სერიას, რაც თურმე ეხება დემოკრატიის უკუსვლას და ადამიანის უფლებების დარღვევას. ვფიქრობთ, აღნიშნული პირდაპირ მიუთითებს მის არაკეთილსინდისიერებაზე და კონკრეტული დაკვეთის შესრულებაზე.

რაც შეეხება ბატონ **Philip Shishkin**-ს, მის ყველა ძირითად შეკითხვას 18 აგვისტოს ვუპასუხე (დამატებით შეკითხვას ვუპასუხე 21 აგვისტოს), ვინაიდან, **Daniel Boffey**-ს მსგავსად, მანაც შემზღუდა დროში იმ მოტივით, რომ სტატია, მაქსიმუმ, აგვისტოს ბოლოს უნდა გამოქვეყნებულიყო.

დღეს კი, როდესაც მიილია სექტემბრის თვის ნახევარი, სტატია კვლავაც არ არის გამოქვეყნებული და ჩემ მიერ გაცემული პასუხები – ასახული. შესაბამისად, გვაქვს იგივე მოცემულობა, რაც პირველ შემთხვევასთან დაკავშირებით იქნა აღწერილი ჩემ მიერ – სამწუხაროდ, მართული მედიის მიერ დამკვეთების დავალებების შესრულება და ობიექტურად არსებული სურათის სრული უგულებელყოფა", – აცხადებს **თემურ წიქვაძე.**

15 სექტემბერი, 2025

**ახლო-აღმოსავლეთში კვლავ დაძაბული მდგომარეობაა. ისრაელმა, ჯერჯერობით, შეაჩერა მთელი ღაზის აღება. დასავლეთი შიშობს, რომ ამ სამხედრო ოპერაციის დროს, შეიძლება, უამრავი სამოქალაქო პირი დაიღუპოს. ჰამასი კი, მძევლების გათავისუფლებას აჭიანურებს. და ამ დროს, სრულიად უპრეცედენტო რამ მოხდა: 9 სექტემბერს, ისრაელის სამხედრო ძალებმა კატარი დაბომბეს. ასეთი რამ წინათ არასოდეს არ გაუკეთებია. შეტევის მიზანი ჰამასის ხელმძღვანელობის განადგურება იყო. ჩანს ამ ოპერაციისთვის, ისრაელი დიდხანს ემზადებოდა.**



# ისრაელისთვის წითელი ხაზები აღარ არსებობს...

ცნობილია, რომ კატარში განლაგებული იყო ჰამასის ერთ-ერთი შტაბბინა. ჰამასის ხელმძღვანელობა კატარის ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილდებოდა, რადგან, კატარი სანდო და შედარებით უსაფრთხო ქვეყანაა, და დიდი საერთაშორისო პატივისცემით სარგებლობს.

ჯერჯერობით, ცნობილი არაა, იერიშის შედეგად რამდენი ადამიანი დაიღუპა. როგორც ისრაელის მხარე ამბობს, დაზვერვამ წინასწარ დაადგინა, სად და რომელ შენობაში იყვნენ ჰამასის ლიდერები და ისე მიიტანა მათზე იერიში. ამ საჰაერო შეტევას პრეცედენტი არ გააჩნია ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში. ისრაელს არასოდეს არ მიუტანია იერიში სპარსეთის ყურის ქვეყანაზე. ეტყობა, ახლო აღმოსავლეთში წითელი ხაზები აღარ არსებობს. კატარზე შეტევა თითქმის მთელმა მსოფლიომ დაგმო.

**ორი ათეული წელია, კატარი მსოფლიო დონის მოლაპარაკებების დედაქალაქად გამოცხადდა: დოჰაში შედგა უკრაინელი ბავშვების სამშობლოში დაბრუნების, ავღანეთიდან ამერიკელი ჯარების გაყვანის, სუდანში აჯანყებულებთან სამშვიდობო შეთანხმების, ღაზაში ცეცხლის შეწყვეტისა და ჰამასის მიერ აყვანილი მძევლების გათავისუფლების შესახებ მოლაპარაკებები. სწორედ კატარის შუამდგომლობამ უზრუნველყო კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და რუანდას შორის სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერა. კატარი განსაკუთრებით ცნობილი იყო მძევლების გათავისუფლების ან პატიმრების გაცვლის საკითხებში შუამავლობით. კატარი ჩართული იყო ისრაელსა და ჰამასს შორის მოლაპარაკებებშიც...**

დოჰას, როგორც შუამავლის, მონაწილეობით, მხარეები შეთანხმდნენ დროებით ცეცხლის შეწყვეტაზე. მათ 105 ისრაელელი მძევალი და 240 პალესტინელი პატიმარი გაცვალეს, მაგრამ 2024 წლის ნოემბერში, კატარმა პროცესიდან გამოსვლა გადაწყვიტა, რადგან მთავრობა, მხარეების მხრიდან მოლაპარაკებების გაჭიანურებით უკმაყოფილო იყო, თუმცა, რამდენიმე თვის შემდეგ, როცა დონალდ ტრამპი თეთრ სახლში დაბრუნდა, კატარი კვლავ ჩაერთო მოლაპარაკებებში და მხარეებს ახალი პლატფორმა შესთავაზა. კატარზე საჰაერო შეტევა დელიკატურ დროს განხორციელდა. ამ შეტევამდე რამდენიმე დღით ადრე, ტრამპის საგანგებო წარმომადგენელი, სტივ-უიტკოფი პარიზში კატარის ოფიციალურ პირებს შეხვდა, რათა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება და ღაზას სექტორში დაკავებული ისრაელელი მძევლების გათავისუფლება განეხილათ.

ისრაელის ოპერაციის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, კატარის პრემიერ-მინისტრი, შეიხ-მოჰამედ-ბინ-ალტანი პალესტინის ლიდერებს შეხვდა, რათა მათზე ზეწოლა მოეხდინა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. ახლა კი, ამერიკა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. ისრაელის შეტევა კატარზე ძირს უთხრის ამერიკას, როგორც მის მოკავშირეებსა და პარტნიორებს შორის მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტს. ამიერიდან, სპარსეთის ყურის სახელმწიფოები, სავარაუდოდ, ეჭვქვეშ დააყენებენ ამერიკის უნარს ან სურვილს, შეაკავოს ისრაელი და უზრუნველყოს მათი დაცვა.

ამერიკა რომ უხერხული მდგომარეობიდან გამოვიდეს, ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ ამ შეტევაზე პასუხისგებლობა თავის თავზე აიღო. მან განაცხადა, რომ ამერიკის ხელმძღვანელობა ამ ოპერაციის შესახებ საქმის კურსში არ იყო.

**მოკლედ, ისრაელის დარტყმა რეგიონში გარდამტეხ მომენტში მოხდა, სადაც ძველი წესრიგი ქრება და ახალი ჩნდება. რეგიონულ მოთამაშეებს რეგიონის ფორმირებაში მოქმედების გაცილებით უფრო დიდი თავისუფლება აქვთ. 9 სექტემბრის დარტყმა კი, ახალი წესრიგის ფორმირების პროცესში, სხვადასხვა მიდგომათა ჯახზე მიუთითებს.**

# დონალდს უაზრო ფულის ხარჯვისთვის აკრიტიკებენ

**დონალდ-ტრამპმა გადაწყვიტა პენტაგონს, ანუ ამერიკის თავდაცვის სამინისტროს, სახელი შეუცვალოს. Department of Defense, თავდაცვის დეპარტამენტი, გახდება Department of War, ომის დეპარტამენტი. პრეზიდენტის აზრით, ასეთი გარდაქმნა ამერიკას მისი საწყისებისკენ მიაბრუნებს: 1947 წლამდე ამერიკის თავდაცვის სამინისტროს ომის სამინისტრო ერქვა. პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა გადაწყვიტა, დასავლეთის სხვა ქვეყნების მსგავსად, მის ქვეყანაშიც, ომის კი არა, თავდაცვის სამინისტრო ყოფილიყო. ამით ტრუმენი, თითქოს, ცდილობდა, რომ დასავლეთში, ზოგადად, და ნატოში, კერძოდ, ერთსულოვნება ყოფილიყო.**




ასეთი რებრენდინგი ომისშემდგომ სულისკვეთებას ასახავდა: ამერიკის შეიარაღებული ძალები მშვიდობისა და სტაბილურობის დამცველი და ახალი საერთაშორისო წესრიგის ნაწილი ყოფილიყო, რომელიც კიდევ ერთი მსოფლიო ომის თავიდან აცილებას ისახავდა მიზნად.

ომიდან თავდაცვაზე გადასვლა შეკავებასა და კოლექტიურ უსაფრთხოებაზე აქცენტის გაკეთებას ნიშნავდა, რაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ნატოს, როგორც მშვიდობის შენარჩუნების ინსტიტუტების, არსის შესაბამისი იყო. ახლა, როგორც ჩანს, ტრამპი და მისი ადმინისტრაცია ამ სულისკვეთებას აღარ იზიარებს. დონალდ ტრამპის თქმით, 1947 წლამდე, ამერიკა ყველა ომს იგებდა, რადგან ყველაზე ძლიერი იყო. ამიტომ უპრიანია, ის თავის ფესვებს დაუბრუნდეს, რითაც ამერიკა მთელ მსოფლიოს საგულისხმო მესიჯს უგზავნის, რომ ის ყოველთვის მსოფლიოს ლიდერი იქნება. სახელწოდება „თავდაცვის დეპარტამენტი“ მხოლოდ საკუთარი თავის დაცვის უნარზე იყო ორიენტირებული. ახალი, უფრო სწორად, დაბრუნებული სახელწოდება კი, მეტყველებს ამერიკის მზადყოფნაზე, ომი დაიწყოს თავისი ინტერესების დასაცავად, აღნიშნულია ამერიკის პრეზიდენტის ბრძანებულებაში. პიტს ჰეგსეთმა, რომელსაც ახლა უკვე ომის მინისტრი ჰქვია და რომელსაც, უკვე, შეცვლილი აქვს ოფისის აბრა, თქვა, რომ პენტაგონი ამიერიდან ეცდება აჩვენოს ძალა და არა პოლიტიკური კორექტულობა. ჩვენ აღვზრდით მეომრებს და არა მხოლოდ დამცველებს, განაცხადა ბატონმა ჰეგსეთმა, მაგრამ ტრამპის ბრძანება, ძალაში რომ შევიდეს, ის კონგრესმა უნდა დაამტკიცოს. მანამდე კი, სამინისტროს ორი სახელი ექნება–**თავდაცვის და ომის!** ამერიკაში ყველა არ იზიარებს ამ საკითხში დონალდ ტრამპისა და მისი თანამოაზრეების აღტყინებას. დემოკრატებმა, ზოგიერთმა რესპუბლიკელმა, ბევრმა ექსპერტმა და სამხედრო პირმა დონალდ ტრამპის ეს გადაწყვეტილება გააკრიტიკა, რომელიც მათ წმინდა წყლის პოპულიზმად მიაჩნიათ. ზოგმა გესლიანად გაიხუმრა: **თუ ტრამპს სურს მშვიდობისმყოფელი იყოს და ნობელის პრემია მიიღოს, მაშინ ეს ბრძანება უკან უნდა წაიღოსო.**

სერიოზულად რომ მივუდგეთ საკითხს, ბევრს მართლა ეშინია, რომ ასეთი რებრენდინგით ამერიკა არასწორ მესიჯს უგზავნის მსოფლიოს. მათი აზრით, ამერიკის მოწინააღმდეგეები ამას ანტიამერიკული განწყობის გასაღვივებლად გამოიყენებენ. გარდა ამისა, ბევრი ექსპერტის აზრით, სამინისტროს გარდაქმნა უაზრო ფულის ხარჯვის გარდა არაფერს არ მოიტანს. რადგან ამერიკაში სიმბოლიზმი ძალიან ბევრს ნიშნავს, ამერიკული ჯარის ტანსაცმელსა და საჯარისო მოწყობილობაზე დატანილია სამინისტროს გერბი და სახელწოდება. ახლა სამინისტროს სახელის შეცვლის გამო, ასობით მილიონი დოლარი უაზროდ დაიხარჯება.

**ამერიკის პრეზიდენტმა კრიტიკოსები დაამშვიდა, რომ ამ რებრენდინგისთვის ფინანსები გამონახა, თუმცა, არ დაუკონკრეტებია, საიდან მოვა ეს ფული.**



**ნუგზარ ბ. რუხაძე**

**POSTV**

## დონალდ ტრამპმა ომის დაწყების შემდეგ პირველად რუსეთს აგრესორი უწოდა

**„მკვლელობა უნდა დასრულდეს. ამ კვირაში ორივე ქვეყანაში 8 000 სამხედრო დაიღუპა, ცოტა მეტი რუსეთში, მაგრამ როდესაც აგრესორი ხარ, უფრო მეტს კარგავ“**, – აღნიშნა ტრამპმა.

აღსანიშნავია, რომ დონალდ ტრამპი მანამდე უკრაინაში შეჭრისთვის რუსეთის ქმედებების დაგმობაზე უარს აცხადებდა და უარყოფდა გაერო-ს იმ რეზოლუციას, რომელიც უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას უჭერდა მხარს და მოსკოვის ნაბიჯებს გმობდა. გარდა ამისა, ვაშინგტონი აპროტესტებდა „დიდი შვიდეულის“ განცხადებასაც, სადაც რუსეთი აგრესორად იყო მოხსენიებული.

**ცნობისთვის, აშშ-ის პრეზიდენტმა მოსკოვის მიმართ პოზიცია მიმდინარე წლის ზაფხულში, ანუ მას შემდეგ შეიცვალა, რაც, არაერთი მცდელობის მიუხედავად, პუტინი ზელენსკისთან პირდაპირი მოლაპარაკებების გამართვაზე ვერ დაითანხმა.**

## შვედეთში ოჯახები შიშში ცხოვრობენ!



**„შვედეთის მთავრობა კანონის უზენაესობაზე ლექციებს გვიკითხავს. ამასობაში, Die Welt-ის სტატიის თანახმად, კრიმინალური ქსელები შვედ ბავშვებს მკვლელებად იყენებენ, რადგან იციან, რომ სისტემა მათ არ დასჯის. ქვეყანა, რომელიც ოდესღაც წესრიგითა და უსაფრთხოებით იყო ცნობილი, ახლა იშლება: მკვლელობისთვის 280-ზე მეტი არასრულწლოვანი გოგონა დააკავეს, ოჯახები კი შიშში ცხოვრობენ. ეს გულდასაწყვეტია. შვედი ხალხი უკეთესს იმსახურებს!“** – წერს უნგრეთის პრემიერ-მინისტრი **ვიქტორ ორბანი** X-ზე.

## ტელეშოუების გავრცელებისთვის — სიკვდილით დასჯა!

**ჩრდილოეთ კორეაში სიკვდილით დასაჯეს ადამიანები, რომლებიც უცხოურ ტელეშოუებს, მათ შორის სამხრეთკორეულ დორამებს ავრცელებდნენ.**

ანგარიში 300-ზე მეტი თვითმხილველისა და დაზარალებულების ჩვენებებზე დაყრდნობით არის შედგენილი.

2014 წლიდან ჩრდილოეთ კორეის მთავრობამ მოსახლეობაზე თვალთვალი ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით გააძლიერა, სასჯელი კი უფრო მკაცრი გახდა – კერძოდ, უცხოური ტელესერიალების გავრცელება სიკვდილით ისჯება. გაეროში აცხადებენ, რომ კორონავირუსის პანდემიის შემდეგ, ქვეყანაში სიკვდილით დასჯის რაოდენობა გაიზარდა.

ზუგდიდის მერიის ორგანიზებით, დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ეზოში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის და საპატიო ზუგდიდელის წოდების მინიჭების საზეიმო ცერემონია და კონცერტი გაიმართა.

ღონისძიებას სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული დავით ვერაძე, მოადგილეებთან, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარესთან გიორგი ჩინჩარაძესთან, ზუგდიდის მერის მოვალეობის შემსრულებელ ბესიკ ჭეჭიასთან, ადგილობრივი ხელისუფლების და საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდა.

ღონისძიებაში თბილისის მერიის საკონცერტო ორკესტრის ბიგ-ბენდი და სოლისტები: მაია ბარათაშვილი, რომა რცხილაძე, მარიკო ებრალიძე, ნესტან ჩიბლაძე, გიორგი სუხიტაშვილი მონაწილეობდნენ. კონცერტში მონაწილეობდა ფოლკლორული ანსამბლი „ოდოია“.



# მშობლიური ზუგდიდის სიყვარულით დაჯილდოებულნი

### საპატიო ზუგდიდელის წოდება მიენიჭათ:

**თენგიზ მიქენაიას** – ხატმწერს, მოქანდაკეს, ოქრომჭედელს. ქრისტიანობის ერთ-ერთი გამორჩეული სიწმინდის, ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის პატიოსანი ნაწნავის ჩასაბრძანებლი ლუსკუმის ავტორს. ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტ გერასიმეს ინიციატივით დაჯილდოებულია საპატიო სიგელითა და ღვთისმშობლის კვართის გამოსახულების სამკერდე ნიშნით.

**ზამირა ღადუას** – ფიზიკოსს, პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიურ დოქტორს, წლების განმავლობაში იმჟამინდელი მე-14 საშუალო სკოლის და ზუგდიდის მერაბ კოსტავას სახელობის N2 საჯარო სკოლის დირექტორს, ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებულ და სრულ პროფესორს, ზუგდიდის რაიონის პირველი მოწვევის საკრებულოს წევრს. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოადგილეს.

**ვაჟა ფიფიას** – აგრონომს, სასოფლო-სამეურნეო დარგის ლიცენზირებულ ექსპერტს, სხვადასხვა წლებში ზუგდიდის რაიონის სოფ. ჩხორიის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეს, „ცხოველმრეწვის“ ზუგდიდის რაიონული გაერთიანების თავმჯდომარეს, აგროსამრეწველო სამმართველოს მთავარ აგრონომს, ზუგდიდის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმისა და ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის პედაგოგს. საზოგადოება „ზუგდიდელის“ პრეზიდიუმის წევრს.

**ზაირა გერგედავას** – ღვაწლმოსილ ფარმაცევტს, საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაციის წევრს, ზუგდიდის ფარმაცევტული საზოგადოების თავმჯდომარეს, არაერთი საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის სიგელებისა და ჯილდოების მფლობელს. პარალელურად ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალისა და ზუგდიდის შოთა მესხიას სახელმწიფო-სასწავლო უნივერსიტეტის პედაგოგს.







**ვალერ გარაგაშ** – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრის“ თანამშრომელს, სუფთა ქალაქის სადარაჯოზე მდგარ ადამიანს, მოწინავე მეეზოვეს, კეთილსინდისიერი 45- წლიანი შრომისთვის წამახალისებელი ჯილდოების მფლობელს.

### ზუგდიდის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭათ:

**თენგიზ ხარებავას** – „მეღვინეობა ხარება“ და საქველმოქმედო ფონდი „ხარებას“ დამფუძნებელს. ზუგდიდის წმინდა მოციქულთა თავთა პეტრესა და პავლეს სახელობის ეკლესიის, ყვარლის, თერჯოლისა და კოზის ტაძრების აღმშენებელსა და ქტიტორს, წმინდა ელია თეზბიტელის სახელობის ეკლესიის რესტავრატორს, ცნობილ მეცენატსა და ქველმოქმედს.

**ალექსანდრე შენგელაიას** – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტის პროფესორს, ციურიხის უნივერსიტეტის (შვეიცარია) ფიზიკის ინსტიტუტის პროფესორს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს.

**ნუგზარ უზერს** – სახელგანთქმული უზერების დინასტიის წარმომადგენელს, პროფესორს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს პედიატრთა აკადემიის წევრს, საქართველოს ნეონატოლოგთა ასოციაციის წევრს, საქართველოს რესპირაციული ასოციაციის წევრს, ევროპის პედიატრ-ინფექციონისტთა საზოგადოების წევრს, ევროპის ალერგოლოგთა და კლინიკური იმუნოლოგიის საზოგადოების წევრს, საქართველოს პედიატრიული ასოციაციის გენერალურ მდივანს, ორასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა და ორი მონოგრაფიის ავტორს, თბილისის საპატიო მოქალაქეს, ღირსების ორდენის კავალერს და სხვადასხვა ჯილდოების მფლობელს.

**გიორგი კალანდიას** – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს ხელოვნების სასახლე-კულტურის ისტორიის მუზეუმის დირექტორს, „დადიანების სასახლეთა გადარჩენის ფონდის“ თავმჯდომარეს, საქართველოს სამუზეუმო ასოციაციის დამფუძნებელს, მსოფლიო მუზეუმთა გაერთიანების წევრს, ათეულობით წიგნისა და სამეცნიერო ექსპედიციების ფარგლებში გადაღებული დოკუმენტური ფილმების ავტორს, ღირსების მედლის მფლობელს, რუსთაველის სახელობის სტიპენდიატს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრემიისა და სიგელის, ევროპის კულტურული მემკვიდრეობის უმაღლესი ჯილდო „ევროპა ნოსტრას“, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საპატიო სიგელისა და სხვადასხვა ჯილდოების მფლობელს.

**გულადი ფეტელავას** იგივე **გური ოტობაიას** – ჟურნალისტს, მწერალს, პუბლიცისტს. არაერთი სალექსო კრებულის, მათ შორის სახელოვანი „გვიმარას“, რომანისა და დოკუმენტური პროზის ავტორს. საგამომცემლო ფირმის „ოდაბადე“ (სერია: „ნობელის პრემიის ლაურეატები“) თავმჯდომარეს, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო გაზეთის „ენგური“ რედაქტორს. დღემდე ჟურნალის „კირბი“ (ოქროს საწმისი) მთავარ რედაქტორს, საქველმოქმედო ფონდის „პალადიუმი“ დამფუძნებელ-დირექტორს. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელის, საქართველოს მწერალთა კავშირის ტერენტი გრანელის სახელობის და საქართველოს მწერალთა კავშირის ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის პრემიების ავტორს.

# გიწვევთ ბათუმური განდაგანა

**20-21 სექტემბერს ბათუმში სოფლის ტურიზმის ფესტივალი „განდაგანა“ გაიმართება.**

**ულამაზესი საშემოდგომო დეკორაციებით გაფორმებულ ევროპის მოედანზე მთიანი აჭარა თავისი კულტურით, კულინარიით, ტრადიციებითა და რეწვის დარგებით იქნება წარმოდგენილი. წელს ფესტივალ „განდაგანას“ ფარგლებში მთავარი აქცენტი აჭარული სამზარეულოსა და ხალხური რეწვის დარგების წარმოჩენაზე გაკეთდება. მოეწყობა სპეციალური კვების კუთხე, სადაც აჭარის ხუთივე მუნიციპალიტეტისთვის დამახასიათებელ კერძებს მოამზადებენ, ჩატარდება მასტერკლასები და კულინარიული შეჯიბრებები.**




**წელს, პირველად ფესტივალზე, სტუმრის სტატუსით წარმოდგენილი იქნება სვანური და მეგრული სამზარეულოც. გარდა კულინარიული მასტერკლასებისა, ასევე დაგეგმილია ქარგვის მასტერკლასები, სადაც მონაწილეები აჭარული ნაქარგობის შესრულებას შეეცდებიან.**

**ულამაზესი დეკორაციებით გაფორმდება აჭარული რეწვის სივრცეც, რომელსაც გასული წლის მსგავსად „გარდენია შევარდნაძის“ დამფუძნებელი ზურაბ შევარდნაძე მოაწყობს. ფესტივალის ფარგლებში ასევე მოეწყობა გამოფენა-გაყიდვა, სადაც 200-მდე ადგილობრივი და სხვა რეგიონებიდან ჩამოსული მეწარმის ხელნაკეთი ნამუშევრები, სოფლის ნობათი და კერძები იქნება წარმოდგენილი.**

**ფესტივალი „განდაგანა“ 2015 წლიდან, აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტოს ორგანიზებით იმართება.**



# საფეხბურთო მოზაიკა

**„პარი სენ-ჟერმენის“ ფეხბურთელის ხვიჩა კვარაცხელიას ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა და ჩემპიონთა ლიგის პირველ ტურში იგი, დიდი ალბათობით, ითამაშებს.**

Foot mercato-ს ცნობით, პირველმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ ხვიჩას წვივის არეში დარტყმა აქვს მიღებული, მაგრამ ტრავმა არ აღენიშნება, ამიტომაც 17 სექტემბერს „ატალანტას“ წინააღმდეგ უნდა ითამაშოს.

საბოლოო გადაწყვეტილება ლუის ენრიკეზე იქნება, რომელიც გარისკავს თუ არა, უცნობია. შეიძლება მან ქართველის დასვენება გადაწყვიტოს და ხვიჩა პსჟ-ს კვირის ბოლოს, „მარსელთან“ მატჩში დაუბრუნდეს.

შეგახსენებთ, რომ ხვიჩა კვარაცხელია „ლანსთან“ 2:0 მოგებული მატჩის პირველ ტაიმში შეცვალეს. მის წინააღმდეგ ოდსონ ედუარმა იუხეშა და პსჟ-ს ლიდერს ჩარტყმის კვალიც ეტყობოდა.

„პარი სენ-ჟერმენი“ 17 სექტემბერს, ჩემპიონთა ლიგის პირველ ტურში „ატალანტას“ შეხვდება. კვარაცხელიას მიმდინარე სეზონში ფრანგული გუნდის მაისურით ოთხი უგოლო მატჩი აქვს ჩატარებული.

* * *

**19 ოქტომბერს, 19 საათზე, „დინამო არენაზე“ ერთმანეთსდინამოსა და აიაქსის ლეგენდები დაუპირისპირდებიან.**

ლეგენდების მატჩი დინამოს 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით, კროკობეთის მხარდაჭერითა და Sports Orient-ის ორგანიზებით გაიმართება.




კროკობეთი, დინამო თბილისის სპონსორობის ფარგლებში, გულშემატკივრებისათვის მომავალში კიდევ არაერთ საინტერესო სიახლეს გეგმავს.

დინამოსა და აიაქსს საერთო საკმაოდ ბევრი აქვთ. ერთ-ერთი რაც მათ აერთიანებთ, უეფას თასების მფლობელთა თასია, რომელიც დინამომ – 1981 წელს, ხოლო აიაქსმა 1987 წელს მოიგო. ისინი ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანი კლუბის სტატუსს ატარებენ.

უეფას თასების მფლობელთა თასის მოგების გარდა, დინამო ორჯერ, სსრკ-ს ჩემპიონი (1964, 1978) და თასის მფლობელი (1976, 1979) გახდა.

მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, თბილისურმა კლუბმა 19-ჯერ იჩემპიონა, 13 შემთხვევაში დავით ყიფიანის სახელობის თასი მოიგო და 9-ჯერ სუპერთასის მფლობელი გახდა.

დინამო თბილისი დღემდე ერთადერთ ქართულ კლუბად რჩება, რომელმაც ევროტურნირის ჯგუფურ ეტაპზე იასპარეზა. ამასთან ერთად, ის ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგიდან არასდროს გავარდნილა.

იუბილესთან დაკავშირებით დაგეგმილი ლეგენდების მატჩზე მოსულ გულშემატკივარს, სანახაობასთან ერთად კროკობეთისაგან უამრავი საჩუქარი და აქტივობა ელოდება.

* * *

**პორტუგალიის ჩემპიონატის მეხუთე ტურში „ეშტორილმა“ „ავეშ სადი“ 3:1 დაამარცხა, ხოლო ნოდარ ლომინაძემ პორტუგალიურ კარიერაში სადებიუტო გოლი გაიტანა.**

ქართველმა ფეხბურთელმა მე-12 წუთზე დალაშქრა მეტოქის კარი და ანგარიში გახსნა. ის მოედანზე 72-ე წუთამდე იყო და მიმდინარე სეზონში პირველი გოლი გაიტანა.

ნოდარ ლომინაძის თამაში გამოარჩია ცნობილმა სტატისტიკის საიტმა Sofascore-მა, რომელმაც ქართველს 8.0 შეფასება დაუწერა და ტურის სიმბოლურ თერთმეტეულში შეიყვანა.

შეგახსენებთ, რომ ლომინაძე „ეშტორილში“ ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში გადავიდა და კლუბთან კონტრაქტი 2029 წლის ივლისამდე აკავშირებს.

„ეშტორილმა“ სეზონში პირველად მოიგო და 5 ქულით მერვე ადგილზეა, მომდევნო ტურში კი 21 სექტემბერს „ჟილ ვისენტეს“ ესტუმრება.

* * *

**უეფამ 2026-2027 წლების სეზონის ჩემპიონთა ლიგის ფინალის მასპინძელი ქალაქი დაასახელა.**

ტირანაში გამართულ აღმასკომის სხდომაზე გადაწყდა, რომ 2027 წელს ფინალს მადრიდის „ატლეტიკოს“ სტადიონი „მეტროპოლიტანო“ უმასპინძლებს, სადაც ისტორიაში მეორედ გაიმართება ჩემპიონთა ლიგის ფინალი. 2019 წელს „ლივერპულმა“ „ტოტენჰემს“ 2:0 სწორედ ამ სტადიონზე აჯობა.

გარდა ამისა, გადაწყდა, რომ 2026 წელს ევროპის სუპერთასის ფინალური მატჩი ავსტრიის ქალაქ ზალცბურგში ჩატარდება. აქვე გეტყვით, რომ ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე სეზონის ფინალს უნგრეთის დედაქალაქი ბუდაპეშტი უმასპინძლებს.

# საფესტივალო კორტზე

**სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის საერთაშორისო ფონდისა და საჩოგბურთო კლუბის, „ეისის“ ორგანიზებით კაჭრეთში ღამის ჩოგბურთის ფესტივალი ჩატარდა.**

ღონისძიებაში მონაწილეობდა 50-მდე მოყვარული ჩოგბურთელი, რომლებიც A და B კატეგორიაში მონაწილეობდნენ შერეულ წყვილთა თანრიგებში.

A კატეგორიაში ჩემპიონობა მოიპოვეს: **მარიამ წივწივაძემ** და **ლუკა სახვაძემ, ხოლო B** კატეგორიაში: **ანა რამაზაშვილმა** და **ნიკოლოზ კვარაცხელიამ.**

მოყვარული ჩოგბურთელებისთვის სხვადასხვა შეჯიბრებები მთელი წლის განმავლობაში ტარდება, 2025-ში ღამის ფესტივალი კი პირველი იყო.

# გვალვა ხალიჩაზე

**ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებში თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიოს ჩემპიონატი საქართველოსთვის ძალიან წარუმატებლად – უმედლოდ მიმდინარეობს.**

70 კგ წონით კატეგორიაში მედლის შანსი ჰქონდა აკაკი ქემერტელიძეს, მაგრამ რეპეშაჟში მოლდოველ ვასილე დიაკონთან 2:3 დამარცხდა, ხოლო 125 კგ წონით კატეგორიაში სოლომონ მანაშვილიც ბრინჯაოსთვის იბრძოდა, თუმცა ისიც რეპეშაჟში გამოეთიშა ტურნირს.

57 კგ წონით კატეგორიაში რობერტ დინგაშვილი პირველივე წრეში დამარცხდა აზერბაიჯანელ ისლამ ბაზარგანოვთან (1:10), რომელიც თავის მხრივ მომდევნო წრეში გავარდა და ქართველი უმედლოდ დარჩა.



74 კგ წონით კატეგორიაში გიორგი ელბაქიძემ პირველ წრეში უზბეკი მირზო ხიატოვი 7:1 დაამარცხა, მაგრამ მერვედფინალში იაპონელ კოტა ტაკაჰაშისთან 0:10 წააგო, რომელიც ფინალში გავიდა და ქართველი ბრინჯაოსთვის რეპეშაჟიდან იბრძოლებს.

79 კგ წონით კატეგორიაში ვლადიმერ გამყრელიძე ახმედ უსმანოვთან ვერაფერს გახდა (1:4), რომელიც თავის მხრივ მომდევნო წრეში გავარდა და ქართველსაც რეპეშაჟის შანსი არ მიეცა.

92 კგ წონით კატეგორიაში მირიან მაისურაძემ ბაჰრეინელ მაგომედ შარიპოვს 2:1 სძლია, თუმცა მეოთხედფინალში ამერიკელ ტრენტ ჰიდლეისთან 1:6 დამარცხდა.

მანამდე უმედლოდ დარჩნენ გიორგი ღონიაშვილი (61 კგ) და ტარიელ გაფრინდაშვილი (86 კგ), ხოლო ბოლო დღეს – გოდერძი ძებისაშვილი (65 კგ) და გივი მაჭარაშვილი (97 კგ).

# ევრობასკეტის ბრწყინვალება




**ევროპის 2025 წლის ჩემპიონატი გერმანიის ნაკრებმა მოიგო, რომელმაც ფინალში თურქეთის ნაკრებს 88:83 აჯობა და ისტორიაში მეორედ გახდა აღნიშნული ტურნირის გამარჯვებული.**

FIBA-მ წლევანდელ ჩემპიონატზე საუკეთესოები გამოავლინა და როგორც მოსალოდნელი იყო, საუკეთესო მოთამაშის ტიტული **დენის შრიოდერს** ერგო. გერმანელი გამთამაშებლის საშუალო სტატისტიკა ევრობასკეტზე 20.9 ქულა, 3.5 მოხსნა და 6.6 შედეგიანი გადაცემა იყო. საუკეთესო დამცველის ჯილდოც გერმანელმა **ისაკ ბონგამ** დაისაკუთრა, რომელიც ასევე ფინალური მატჩის MVP გახდა. ტურნირის საუკეთესო ახალგაზრდა კალათბურთელი ფინელი **მიკა მურინენი** გახდა, ხოლო საუკეთესო მწვრთნელის ჯილდო თურქეთის თავკაცმა **ერჯინ ატამანმა** დაისაკუთრა. FIBA-მ ასევე ტურნირის საუკეთესო ხუთეული დაასახელა:

დენის შრიოდერი (გერმანია), ლუკა დონჩიჩი (სლოვენია), ფრანც ვაგნერი (გერმანია), იანის ანტეტოკუმპო (საბერძნეთი), ალპერენ შენგუნი (თურქეთი).

# სპორტული კალეიდოსკოპი

**სნუკერის ლეგენდამ, მსოფლიოს 7-გზის ჩემპიონმა, ინგლისელმა რონი ო'სალივანმა სხვადასხვა სახეობაში ისტორიაში საუკეთესო სპორტსმენები დაასახელა და, როგორც თავმდაბალმა ჯენტლმენმა, საკუთარ თავს გვერდი აუარა:**

**ფეხბურთი** – დიეგო მარადონა;
**მძლეოსნობა** – უსაინ ბოლტი;
**ჩოგბურთი** – ნოვაკ ჯოკოვიჩი;
**კრივი** – მუჰამედ ალი;
**ველორბოლა** – კრისტოფერ ფრომი;
**რაგბი** – ჯონა ლომუ;
**სნუკერი** – სტივენ ჰენდრი;

* * *

**რაფაელ ნადალის ბიძამ და ყოფილმა მწვრთნელმა ტონი ნადალმა ამერიკის ღია პირველობის ფინალი ასე შეაფასა:**

... შესაძლოა, ჩვენ ვერ ვნახეთ საუკეთესო **იანიკ სინერი,** მაგრამ გავბედავ და ვიტყვი, რომ იტალიელს თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმიც რომ წარმოეჩინა, მეეჭვება, აწ უკვე დიდი მუზარადის მე-6 ტიტულის მფლობელსა და რეიტინგის სათავეში დაბრუნებულ **კარლოს ალკარასს** გამკლავებოდა.

ესპანელი სრულყოფილების ზღვარზე, ძალზე სწრაფად თამაშობდა, ძალზე ცოტა შეცდომას უშვებდა და როცა ვითარება მოითხოვდა, დარტყმების ტემპს ცვლიდა.

* * *

**მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა ბორის ბეკერმა 2022 წელს ბრიტანულ ციხეში გატარებული კოშმარული 8-თვიანი პერიოდი გაიხსენა:**


ბორის ბეკერი

...ამ მომენტს თავს სრულად ვერასდროს დავაღწევ. ციხეებს პატიმრები მართავენ და არა ზედამხედველები. 4 კვირაში 7 კილოგრამი დავიკელი. სტრესი, შიმშილი. არც ტკბილეული გაქვს, არც ალკოჰოლი. საკანში ძალიან ციოდა, ნამდვილი საშინელება იყო. სპორტული ტანსაცმლით და 2 ქურთუკით მეძინა. 2 წინდა მეცვა და თავი რაღაც ნაჭრით მქონდა შეხვეული.

ძალიან შევცდი და დაუფიქრებლად მოვიქეცი, როცა აზარტულ თამაშებში ჩავერთე. რუმინელ პატიმრებთან 700 გირვანქა სტერლინგი წავაგე, რის შემდეგაც ისინი საკანში მომადგნენ და ცემით მემუქრებოდნენ, თუ ფულს არ გადავიხდიდი. ჩემი მეგობარი რომ არ დამხმარებოდა, რომელმაც საბანკო ანგარიშიდან გადმომირიცხა თანხა, დღეს სხვა ადამიანი ვიქნებოდი. ამ გამოცდილებამ ჩემზე დიდი ზეგავლენა მოახდინა. ეს მწარე მოგონებები მთელი დარჩენილი ცხოვრება თან გამყვება – წუხს ლეგენდარული გერმანელი.

* * *

**„ფერარის“ დირექტორთა საბჭოს ხელმძღვანელი ჯონ ელკანი, მისი ძმა და და საგადასახადო თაღლითობის საქმის გარჩევის დასარეგულირებლად საზოგადოებრივი სამუშაოების შესრულებას (მოხუცებულთა სახლში ან სარეაბილიტაციო კლინიკაში) და 183-მილიონი საჯარიმო ევროს გადახდას დათანხმდნენ.**

იტალიის საგადასახადო პოლიციამ კონცერნ „სტელანტისის“ შეფის ოჯახის წინააღმდეგ გამოძიება მას შემდეგ დაიწყო, რაც ბებიის გარდაცვალების შემდეგ მიღებული მემკვიდრეობიდან – 800 მილიონი ევროდან გადასახადებს თავს არიდებდა.

# სანაცეთი ციხეში

**თანამედროვე ფოლკლორიდან**

ხაზეიშვილი ლევანა
ერთი პიტალო ნაცია,
პოლიტიკური ცხოვრება
ბრექად და შფოთად აქცია.
„რუსის ბარაბნის“ არ იყოს
იმდენჯერ მოხვდა ანიტას,
საკრებულოშიც მიტყიპეს,
ქუჩაშიც,... მაგრამ აიტანს.
„კეზერას“ ფულით ბლატაობს,
პალტოც იყიდა, საბანიც,
მოქრთამვის მცდელობისათვის
იგემა ვირის აბანო...
ზოდელავას რას ერჩოდა,
რომ გაიყოლა ციხეში?
ყოფილი გენპროკურორი
ბურჭულაძეს ჰყავს ჯიბეში.
სიმღერისათვის ღალატი
რა ბანის საკადრისია?
თუმცა ბავშვებსაც ძარცვავდა,
რადგან შვილები სხვისია!
ჩემო პაატა, იფრთხილე
არჩევნებამდე ძალიან,
რომ არ მიუჯდე ტუსაღებს
რუსთავში, ღამეს მთვარიანს!

ჯოჯო პირველი

**პოეტის ერთი ლექსი**

# პოეტი...

ერთი ვართ – სისხლითაც,
ერთი ვართ – ხორცითაც,
საწყისით ადამის,
სიკეთით ნოესი...
გამოვვლეთ ქვაბული,
ჯუნგლეთი, ბრბოეთი,
სვაეთი, ყორნეთი,
ძერეთი, ქორეთი...
მოვდივართ... მოვდივართ...
ჯვარზე ცმით მოვდივართ,
წყაროთი – სიცოცხლის,
ჩქარით თუ მდორეთი...
მონა რომ... არ იყო
ეშმაკის მონეტის,
გახსოვდეს ვინა ხარ
და... რასაც მოელტვი.
სიტყვითაც, საქმითაც,
სიკეთის მქსოველი,
გილხინდეს, გტკიოდეს –
ახლო და შორეთი...
სიმართლე – მარადი,
სიმართლე – ყოველთვის
არასდროს – იოტიც,
მიეთი... მოეთი...
სულითაც, გულითაც,
ანითაც, ჰოეთიც,
ჯერ უნდა მზე იყო...
და... მერე პოეტი...



**ფარნა რაინა.**
ქ. თელავი



# გია ბაღაშვილის შემოქმედებითი საღამო დედოფლისწყაროში

**9 სექტემბერს დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლის საკონცერტო დარბაზში გაიმართა დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქის, იუმორინას მუსიკალური ხელმძღვანელის გია ბაღაშვილის შემოქმედებითი საღამო.**

გია ბაღაშვილის მოღვაწეობაზე ვრცლად ისაუბრა კახეთის გუბერნიის პასუხისმგებელმა მუშაკმა, ჩინებულმა მომღერალმა **ლეილა ლეგაშვილმა,** რის შემდეგაც სცენაზე იხმო გია ბაღაშვილი.

ცნობილმა მუსიკოსმა და მუსიკოლოგმა შეასრულა ცნობილი ჰიტები და დამსწრე საზოგადოება საინტერესო კურიოზებით და ანეკდოტებით მოხიბლა.

**გია ბაღაშვილმა** სცენაზე მიიწვია დედოფლისწყაროს ფოლკლორული ანსამბლი „ხორნაბუჯი" (ხელმძღვანელი ლექსო გრემელაშვილი) და მათთან ერთად შეასრულა „წინ წყარო", „ჩაკრულო" და ქართული ფოლკლორის სხვა ცნობილი სიმღერები.

**ლეილა ლეგაშვილმა** დიდი მომხიბვლელობით იმღერა „ურმული" და დამსწრე საზოგადოების ხანგრძლივი აპლოდისმენტები დაიმსახურა.

**საღამოს დასასრულს გია ბაღაშვილმა ავტოგრაფები დაარიგა და თაყვანისმცემლებთან სურათები გადაიღო. გია ბაღაშვილმა გულწრფელი მადლობა გადაუხადა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას და საზოგადოებას ასეთი გულთბილი მიღებისთვის.**

**მარიკა პოპიაშვილი**

# დღესასწაული ღვთისმშობლის ხატისა „შეუწველი მაყვალი"



**17 სექტემბერს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს მარიამ ღვთისმშობლის ხატის „შეუწველი მაყვალის" ხსენებას.**

ცნობილია, რომ მარიამ ღვთისმშობელს უწოდებენ ქალწულს – „შეუწველ მაყვალს". მოსე წინასწარმეტყველმა ღვთისმშობლის სახე იხილა მაყვალში, რომელიც ენთო და არ იწვოდა... მას გამოსახავენ ცეცხლოვანი ალით (ნათლით) განათებულს.

საგულისხმოა ისიც, რომ ხატი „შეუწველი მაყვალი" – რვაქიმიანი ვარსკვლავის სახითაა გამოხატული, რომელიც ორი წამახვილებული წვერების მქონე ოთხკუთხედისგან შედგება. ამ 2 ოთხკუთხედისგან ერთი მათგანი წითელი ფერისაა, რომელიც მოგვაგონებს იმ ცეცხლს, მოსეს მიერ ხილული მაყვალი რომ მოიცვა და რომელშიც ის ალით გარშემორტყმული დაუწველი დარჩა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ხატზე ოთხი მახარებლის მონათხრობზე მიუთითებს წითელი ოთხკუთხედის კუთხეებში გამოსახული – ადამიანი, ლომი, ზვარაკი და არწივი.

**გიული ლიპარტია**

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

**საქართველოს სამოქალაქო კოდექსის $306-306^{16}$ მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი" კრედიტორ ს/ს „ზირაათ ბანკი საქართველოს" განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს შპს „ოლიმპიკი ბათუმშის" საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** შპს „ოლიმპიკი ბათუმში" (ს/ნ 427743917), ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქუჩა N5

**1.1 უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქუჩა N5, სართული 6 (საკადასტრო კოდი: 05.21.51.001.01.502)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**1.2 უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქუჩა N5, სართული 5 (საკადასტრო კოდი: 05.21.51.001.01.506)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის $306^4$ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უძრავი ნივთის საწყისი ფასი შეადგენს სარეალიზაციო ქონებაზე კრედიტორის მოთხოვნის ოდენობას – 2705148.33 ლარს დამატებული დღგ – 486926.69 ლარი და სპეციალისტის მომსახურების საფასური 108205.93 ლარი დღგ-ის ჩათვლით, სულ 3300280.96 ლარს.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2025 წლის 16 სექტემბერი, 17:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2025 წლის 26 სექტემბერი, 14:00 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის **N71271HZP114134925**;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 1141349

**6. მოვალე:** შპს „ოლიმპიკი ბათუმში" (ს/ნ 427743917), ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. N5;
ემზარ რაქვიაშვილი (პ/ნ 13001008712), თბილისი, გიორგი დანელიას 15, ბინა 8;

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი" (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

8. აუქციონის პირობები:

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს ს/ს „ზირაათ ბანკი საქართველო".
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის" საბანკო ანგარიშზე (ს/ს „ზირაათ ბანკი საქართველო", ანგარიშის ნომერი **GE02ZB0000003608003964**). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის **N71271HZP114134925**; ლოტის ნომერი: 1141349).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2025 წლის 26 სექტემბრის 11:00 საათამდე.

# ცნობილი თაღლითი ბათუმში დააკავეს



**Netfix-ის დოკუმენტური სერიალის Tinder Swindler-ის გმირი და ცნობილი თაღლითი საიმონ ლევაევი სამართალდამცველებმა ბათუმის აეროპორტში დააკავეს.**

საიმონ ლევაევი 35 წლის ისრაელელი თაღლითია, რომლის შესახებაც 2022 წელს Netflix-მა დოკუმენტური სერიალი გადაიღო. ლევაევი სხვადასხვა ქალებს აპლიკაცია Tinder-ის საშუალებით უკავშირდებოდა და თავს ბრილიანტების მაგნატის **ლევ ლევაევის** მემკვიდრედ წარუდგენდა, შემდეგ კი სხვადასხვა თაღლითური სქემის გამოყენებით ამ ქალებს ფულს ართმევდა. დაკავებული ინტერპოლის წითელი ცირკულარით იძებნებოდა და ის უწყების თანამშრომლებმა ბათუმის აეროპორტში დააკავეს.

# უცხოქვეყნელს 20 კილო მარიხუანა შემოჰქონდა

**შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1988 წელს დაბადებული, უცხო ქვეყნის მოქალაქე ი.ს. ნარკოდანაშაულის ბრალდებით დააკავეს.**

მას ბრალი განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვასა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანაში ედება.

დანაშაული 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. სამართალდამცველებმა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, ბრალდებულის ბარგის შემოწმების შედეგად, 34 შეკვრად დაფასოებული,19 კილო და 400 გრამი ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა" ნივთმტკიცებად ამოიღეს.

# მექრთამე ვეტერინარს 9 წლამდე ციხე ელოდება!

**საგამოძიებო სამსახურმა, ქრთამის აღების ფაქტზე, სურსათის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელი დააკავა.**

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული ლ.კ. მუშაობდა სურსათის ეროვნულ სააგენტოში ვეტერინარის თანამდებობაზე და სხვა მოვალეობებთან ერთად, დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ ადმინისტრაციულ ერთეულში უზრუნველყოფდა ცხოველის აღრიცხვიანობისა და იდენტიფიკაციისათვის საჭირო ე.წ. საყურე ნიშნების უსასყიდლოდ გაცემას.

პირადი მატერიალური გამორჩენისა და სარგებლის მიღების მიზნით, ლ.კ-მ ერთ-ერთ დაინტერესებულ პირს, სახელმწიფოს მიერ დადგენილი შესაბამისი პროცედურების დაცვის გარეშე, სხვა ადმინისტრაციული ერთეულიდან შეძენილი დაურეგისტრირებელი საქონლის იდენტიფიკაციარეგისტრაციის სანაცვლოდ, მოქალაქეს სხვადასხვა დროს ქრთამის სახით მოსთხოვა და გამოართვა ჯამში 650 ლარი. გატარებული ღონისძიებების შედეგად, ამოღებულია ქრთამის სახით აღებული თანხის ნაწილი".

## საქართველოს მწერალთა სახლი ბუქარესტის პოეზიის ფესტივალზე




**საქართველოს მწერალთა სახლი რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში პოეზიის XV საერთაშორისო ფესტივალზეა მიწვეული, რომელიც 15-21 სექტემბერს გაიმართება.**

ფესტივალის ორგანიზატორის რუმინეთის ლიტერატურის ეროვნული მუზეუმის მიერ თანამშრომლობის შეთავაზებას საქართველოს მწერალთა სახლმა არაერთი ინიციატივით უპასუხა.

**წარმოგიდგენთ დაგეგმილ ღონისძიებებს, რომლებიც საქართველოს მწერალთა სახლისა და რუმინეთში საქართველოს საელჩოს ინიციატივით და ორგანიზებით დაიგეგმა:**

**მწერალთა სახლის საერთაშორისო პროგრამების წარდგენა;**

**ქართული პოეზიის საღამო, მონაწილეები: მირანდა ერისთავი და გიორგი ბალახაშვილი;**

**საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის პრეზენტაცია;**

**ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება – მხარეები: საქართველოს მწერალთა სახლი, ქართული ლიტერატურის მუზეუმი, რუმინეთის ლიტერატურის ეროვნული მუზეუმი, რუმინეთის მწერალთა კავშირი;**

**ღონისძიებების პარალელურად, რუმინეთში საქართველოს საელჩოსთან ერთად, მოეწყობა ქართული ლიტერატურის კუთხე და გაიმართება ქართული ღვინის დეგუსტაცია.**




## ფოლკლორის ცენტრის ორენოვანი წიგნების წარდგინება ოზურგეთში

**16 სექტემბერს ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრში ფოლკლორის ცენტრის ორენოვანი წიგნები წარადგინეს.**

მსოფლიო მუსიკა – ფილიპ ბოლმანი და ეთნომუსიკოლოგია – თიმოთი რაისის ავტორობით, ოქსფორდის გამოცემაა და პოპულარულ ენაზე გვიყვება მსოფლიო მუსიკის ისტორიისა და მნიშვნელობის შესახებ. გამოცემა წარადგინა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა, ეთნომუსიკოლოგმა, ფოლკლორის ცენტრის საერთაშორისო მიმართულების კონსულტანტმა ნანა მჟავანაძემ. ღონისძიებაზე გაიმართა ორენოვანი ელექტრონული ჟურნალის – ქართული ფოლკლორი და ფოლკლორის არქივის კატალოგის წარდგენა.

## ვინ აირჩია «ანამან»...

### საქართველოს კულტურის სამინისტრო აცხადებს კონკურსს ლიტერატურული პრემია „ანას“ მოსაპოვებლად






**ლიტერატურული კონკურსი, რომელიც 2022 წელს დაარსდა, დიდი ქართველი პოეტის – ანა კალანდაძის სახელს უკავშირდება და ქალებსა და ქალ მწერლებს ეძღვნება.**

**კონკურსი ყოველწლიურია და მისი მიზანი ქალი ავტორების ხელშეწყობა, წარმოჩენა და წახალისებაა.**

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოში რეგისტრირებულ კერძო სამართლის იურიდიულ (გამომცემლებს/საგამომცემლო სახლებს) და საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირებს.

გამარჯვებულები გამოვლინდებიან შემდეგ ნომინაციებში:

**„ქალი პროზაიკოსი“** – საუკეთესო პროზაული კრებულისთვის;

**„ქალი პოეტი“** – საუკეთესო პოეტური კრებულისთვის;

**„ქალი მთარგმნელი“** – საუკეთესო თარგმანისთვის;

**„ქალის თემაზე შექმნილი საუკეთესო ნაწარმოების ავტორი“.**

თითოეულ ნომინაციაში გამარჯვებულს გადაეცემა სიგელი და პრემია 5 000 ლარის ოდენობით (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით).

კონკურსის გამარჯვებულებს გამოავლენს მინისტრის მიერ დამტკიცებული კომისია, რომელიც ლიტერატურის სფეროში ავტორიტეტული ხუთი სპეციალისტისგან შედგება.

**საკონკურსო განცხადებები მიიღება 2025 წლის 30 სექტემბრის 12:00 საათამდე სამინისტროში, მისამართზე: თბილისი, სანაპიროს ქ. N4, ნაბეჭდი სახით ან სამინისტროს ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე – info@culture.gov.ge, ელექტრონულად.**

**კონსულტაციების გავლა შესაძლებელია სამინისტროს ცხელი ხაზის საშუალებით, ტელეფონის ნომერზე 032 2 022229; მობ.: 599877816.**

კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონია მიმდინარე წლის დეკემბერში გაიმართება.




## სეზონი ლეგენდარული „ტროელი ქალებით“ იხსნება

**17 სექტემბერს, 20 საათზე, სამეფო უბნის თეატრი სეზონს გახსნის. წარმოდგენილი იქნება „ტროელი ქალები“.**

ევრიპიდეს ლეგენდარული „ტროელი ქალების” დეკონსტრუქცია პირველ პირში გვიამბობს ომგამოვლილ ქართველ ქალთა ისტორიებს 1990-იანი წლებიდან დღემდე. მათი მონათხრობი სპექტაკლის უმთავრეს ნაწილს შეადგენს, მასში ნათლად იკვეთება, რომ ქალთა მიმართ ძალადობის მანკიერი სურვილი საუკუნეების მანძილზე, ტროას ლეგენდარული ომიდან დღემდე, უცვლელი რჩება – ქალთა საჭიროებები ომის დროს იგნორირებულია, მათ ჩივილს არავინ უსმენს.

მონაწილეობენ: **კატო კალატოზიშვილი, ნატუკა კახიძე, მაგდა ლებანიძე, სალომე მაისაშვილი, ქეთა შათირიშვილი.**

## უკვე მეორედ „თბილისური ბროწეულები“

**„თბილისური ბროწეულები“ – კამერული და მონოსპექტაკლების საერთაშორისო ფესტივალი 2025 მალე დაიწყება.**

ორგანიზატორების ინფორმაციით, 25-28 სექტემბერს სანდრო ახმეტელის დრამატული თეატრი 7 ქვეყნის თეატრალურ წარმოდგენებს უმასპინძლებს.

„ფესტივალი უკვე მეორედ იმართება. მაყურებლის წინაშე წარდგებიან ქართველი, ლიეტუველი, ისრაელელი, ესპანელი, რუმინელი, უნგრელი, ამერიკელი, გერმანელი და უკრაინელი ხელოვანები.




ფესტივალი იხსნება ირაკლი გოგიას (ახმეტელის თატრი) „აღსარება – მე, სერგო ფარაჯანოვით“ და დასრულდება 28 სექტემბერს რეჟისორ რაინერ ბერის „ველი. დილის ქალბატონით“ (SCHUM კულტურის სივრცე – გერმანია, უკრაინა).

## სერიალი „სტუდია“ EMMY 2025-ის ტრიუმფატორი

**ლოს-ანჯელესში Emmy-ის დაჯილდოების 77-ე ცერემონია გაიმართა.**

საღამოს ტრიუმფატორი სერიალი „სტუდია“ გახდა, რომელმაც პირველი სეზონისთვის 13 ჯილდო მიიღო, მათ შორის კატეგორიაში „საუკეთესო კომედიური სერიალი“.

საუკეთესო დრამატულ სერიალად „საავადმყოფო პიტი“ დასახელდა. „გარდატეხის ასაკი“ კი საუკეთესო მინი-სერიალად აღიარეს. **15 წლის ოუენ კუპერი დააჯილდოვეს, როგორც მეორე პლანის საუკეთესო მსახიობი მინი-სერიალში. ის პრემიის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ლაურეატი გახდა. საუკეთესო ანიმაციური სერიალის ტიტულს „არკეინი“ დაეუფლა.**




საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებით ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი, თემურ ქორიძე, ოთარ ტურაბელიძე, გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია, მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოქეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com

ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 19 სექტემბერს